

მნიშვნელობის თვალსაზრისით უმუშაოები
სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული
პრესის ენაში

სხვა რიგის ენობრივ დარღვევებთან ერთად თანამედროვე პრესის ენაში ხშირად გვხვდება შეუსაბამობა შესიტყვებაში სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით. ამგვარ შეუსაბამობათა უმეტესობა იმითაა გამოწვეული, რომ ფრაზის ავტორისათვის არ არის ცნობილი სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა, ან იგი ცდილობს, უფრო წიგნური გახადოს, გაამბატურლოს, გაალამაზოს ნათქვამი. შედეგად იმას ვიღებთ, რომ წინადადების გაგება ჭირს ან საერთოდ შეუძლებელია, ზოგჯერ კი აზრი სრულიად იცვლება.

როდესაც ვლაპარაკობთ ენობრივ დარღვევებზე სინტაგმაში სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით, მხედველობაში გვაქვს შემთხვევები, როცა სინტაგმა შედგენილია ორი ისეთი სიტყვისაგან, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება მნიშვნელობის თვალსაზრისით საერთოდ არ შეიძლება.

დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა: ზოგჯერ გავრცელებულ ფრაზეოლოგიზმსა თუ მყარ გამონათქვამში უმართებულოდ შეცვლილია რომელიმე წევრი, ხან სხვადასხვა გამონათქვამთა კონტაშინაცია გვაქვს, ზოგჯერ კი ფრაზის ავტორს თვითონ უცდია ახალი სიტყვათშეხამება შეექმნა, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი ემოციის გამოსაწვევად, მეტი ეფექტის მოსახდენად.

I. ცნობილია, რომ სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებასმიერ სხვა სიტყვას დავუყავშიროთ. ყოველ სიტყვას, ამავე დროს, აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებებში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს ამ მზა სიტყვათ-

შეხამებებს. ორი სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა გამოიყურება უჩვეულოდ, თუ ეს სიტყვები დაკავშირებულია ერთმანეთთან პირველად, ანდა უჩვეულო კონტექსტში.

ფრაზეოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება გამომსახველსა და მოქნილს ხდის პრესის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომებია დაშვებული, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ზიანს აყენებენ ფრაზას.

მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ რიგის ხარვეზები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც მოიპოვება.

1. ქართულში ძალიან გავრცელებულია ფრაზეოლოგიური გამოთქმა ერთ უორში შეუშვებს (შეუშვა), მეორიდან კი გაუშვებს (გაუშვა), რაც ნიშნავს შემდეგს: ნათქვამს ყურადღებას არ მიაქცევს, მნიშვნელობას არ მისცემს, ანგარიშს არ გაუწევს¹. ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის ნაცვლად ამავე მნიშვნელობით უნმარიათ: ერთი ყურით მოიხმინა, მეორეთი კი დაივიწყა.

მაგრამ ჭირბანამ, რომ იტყვიან, ეს პრეტენზია ერთი ყურით მოიხმინა, მეორეთი კი დაივიწყა („თბილ.“).

ეს ფრაზა უვარგისია არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. მისი მეორე ნაწილი (მეორე ყურით დაივიწყა) აზრობრივად ყოველად გაუმართლებელია.

2. თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში არსებობს ორი სინონიმური ფიგურალური გამოთქმა: ქანცი გაუწყდა და სიქა გაძვრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთქმებში შემავალ სახელებს, ყოველ შემთხვევაში, სასაუბრო მეტყველებაში, დღეს სინონიმური მნიშვნელობები აქვს (ორივეს მნიშვნელობაა: ძალ-ღონე, ილაჭი, არაქათი), მათთან ხმარებული ზმნების ნებისმიერი შენაცვლება მაინც დაუშვებელია. ასეთი შენაცვლება კი დასტურდება:

მაქანები ისეთი დატვირთვით მუშაობენ, სცაა ქანცი გაძვრებათ („თბილ.“).

3. ამავე რიგისაა ქვემოთ მოყვანილი უჩვეულო სიტყვათშეხამება:

ზამთრისათვის მზადებას კარგი მეურნე ყოველთვის ადრე იჭერს („თბილ.“).

¹ აქაც და შემდგომაც ყველგან სიტყვათა განმარტებები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაა წარმოდგენილი.

მზადებას იჭერს უაზრო სინტაგმაა. **იჭერს** ზმნის მონაწილეობით მსგავსი წინააღმდეგობის შესიტყვება იქმნება სიტყვასთან **თადარიგო**. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს მომზადებას. ქართულშიც ფიგურალური გამოთქმები — **თადარიგს შეუდგება, თადარიგს (და)იჭერს** აღნიშნავს: მზადებას, სამზადისს შეუდგება, წინასწარ (მო)მზადება (რამესთვის), წინასწარ (მო)მზადებს (რასმე). აშკარაა, რომ მოყვანილი წინადადების ავტორისათვის ეს ფიგურალური გამოთქმები ცნობილია და შეცდომაც ამის შედეგია. ან უნდა ყოფილიყო **თადარიგს იჭერს**, ან — **მზადებას იწყებს**.

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებობს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ნირის შეშლა, ნირის შეცვლა, ნირის გატეხა**, სადაც **ნირი** ნიშნავს: წესს, რიგს, გეზს, მსვლელობას, ზნეს, ჩვევას, სასიათს. ზოგჯერ, როგორც ჩანს, არ არის ნათელი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა და მყარ გამოონათქვამში უმართებულოდ ცვლიან სინტაგმის ერთ-ერთ წევრს:

ცხოვრების ნირის დაქვეითებას არ შეიძლება უარყოფითი გაკლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა თაობის... ფსიქიკაზე („საქ. ავტ.“).

5. დასტურდება ასეთი წინადადება:

თითქოს ამ სასიკეთო ბრძანებას სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად („დელო“).

ქართულში იმ რიგის ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიაც სიტყვა **პირი** მონაწილეობს, ჩვეულებრივ, იხმარება ზმნა **უჩანს: კარგი (ცუდი, სასიკეთო...)** **პირი უჩანს**. ამდენად, დამოწმებული მაგალითი გავრცელებული ფრაზეოლოგიზმის უმართებულოდ გადაკეთების ნიმუშია.

6. სიტყვა **ცეცხლი** დღევანდელ ქართულში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში შედის: **ცეცხლზე ნავთის დასხმა, ცეცხლზე წყლის დასხმა, ცეცხლისთვის ცეცხლის შეკეთება, ცეცხლთან თამაში, ცეცხლის აღში გატარება, ცეცხლის მოღება** და ა. შ. ფრაზეოლოგიზმებია, აგრეთვე, **ცეცხლს უნთებს** და **ცეცხლს უკიდებს**. პირველი იხმარება რამდენიმე წინააღმდეგობის გადმოსაცემად: **ააღელვებს, შეაწუხებს, მწვავედ განაცდევინებს** რაიმე გრძნობას, ხოლო მეორე შესიტყვებას იყენებენ ფასის აწევასთან, გაძვირებასთან დაკავშირებით. **ცეცხლს უკიდებს** ნიშნავს: ძალიან ძვირად ყიდის, ძვირს აფასებს, **ცეცხლი ეკიდება** — ძალიან ძვირია, **ცეცხლის კი-**

დება — მეტიმეტი სიძვირე. მაგრამ ეს ორი უკანასკნელი იდიო-
მატური გამოთქმა ერთმანეთში აურევიათ:

...ქათმები, ეტყობა, ფერმაში შეუძენია, ფასს მაინც ეცეხლს უნ-
თებს („თბილ.“).

7. გვაქვს ფიგურალური გამოთქმა **ხმას იმაღლებს, ხმა აიმაღ-
ლა**, რაც ნიშნავს: აშკარად, გაბედულად გამოდის, პროტესტს აცხა-
ლებს, ხმას იღებს. ამავე შინაარსის ვადმოსაცემად გამოთქმა —
ხმას არ იღაბლებს ქართულისათვის სრულიად უჩვეულოა. მიუხე-
დავად ამისა, მაინც უხმარიათ:

ქართული თეატრი რესპუბლიკაში შექმნილი იდეური და თრგანიზატორული
ინერტულობის დროსაც არ იღაბლებდა ხმას, მაინც ახერხებდა სატრი-
ბუნო სპექტაკლების შექმნას („ლიტ. ხაქ.“); ქართული მწერლობა და ხელოვნება
ყოველთვის იყო საზოგადოებრივი ტრიბუნი და არცოდის არ იღაბლებ-
და ხმას ჩვენს ნაკლოვანებებზე (იქვე).

8. არსებითი სახელი **მხარი** დღევანდელ ქართულში რამდენიმე
მყარ გამოთქმის შემადგენლობაში შედის. ეს გამოთქმებია: **მხარს
დაუჭერს, მხარს მისცემს, მხარს აუბამს, მხარს უმშვენებს, მხარს
უსწორებს, მხარში ამოუდგება**. ეს სინტაგმები სხვადასხვა შემთხ-
ვევაში დახმარებას, გვერდში ამოდგომას (რაიმე საქმიანობაში), გა-
ტოლებას ნიშნავს. ამ რიგისაა, მაგალითად:

უკმაყოფილო მცხოვრებლები იძახიან, ოღონდ ყურადღება მოგვაქციონ,
წყლის საამედო დამცაეები გააქეთონ და მზად ვართ, მხარი ავუბათო
 („თბილ.“).

ამგვარ გამოთქმათა ანალოგიითაა გაკეთებული უჩვეულო გა-
მოთქმა — **მხარი არ ჩამოუგდო**, რომელიც კონტექსტის მიხედვით
არ ჩამორჩა-ს ნიშნავს:

მხარი არც ან 5 ბრიგადის მებარეშემემ ტერეზო შუბითიემ ჩამოუგ-
დო („გამარჯვ. დროშა“).

9. სიტყვა **ციებ-ცხელება**-ს გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა
აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: ფაცაფუცი, მღელვარება. ამ
მნიშვნელობით მონაწილეობს ეს კომპოზიტი ფიგურალურ გამო-
თქმებში: **ციებ-ცხელებას დამართებს, ციებ-ცხელება აუტყდება**.
უკანასკნელი ნიშნავს: შეშფოთდება, შეშინდება, აღელდება. ამ
მნიშვნელობით ვაზეთ „კომუნისტში“ შეგვხვდა ახალი სიტყვათ-
შეხამება **ციებცხელება გაუჩნდება**, რაც უჩვეულოა დღევანდელი
ქართულისათვის.

... სულ მალე ქადრაგის სიმყაროს ახალი ციფბეცხელეზა გაუჩნდება...

10. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ხშირად იხმარება წიგნური წარმოშობის სიტყვათშეხამება **საქმის კურსშია, მოვლენების კურსშია**. ეს ნიშნავს: საქმეში გარკვეულია, საქმის (მოვლენების) მიმდინარეობა იცის. ამ შინაარსის გადმოსაცემად სხვაგვარი სიტყვათშეხამება დღეს არა გვაქვს. ამიტომ მოულოდნელია ხაზგასმული სიტყვების დაკავშირება ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში:

პარტიურიო მუდამ არის აგიტატორთა მოღვაწეობის კურსში („კომ.“).

11. არსებით სახელს კვალი აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: დაჩნეული ნიშანი, დარჩენილი რამ ნაშთი. ამ მნიშვნელობით შედის ეს სიტყვა ფიგურალურ გამოთქმებში **კვალი გაავლო, კვალი დატოვა**, რაც ნიშნავს: მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამეში, თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. დაახლოებით ეგვევ შინაარსი აქვს თანამედროვე ქართულში (ოდნავ უარყოფითი ნიუანსით) მეორე ფიგურალურ გამოთქმას **დადი დაახვა**. ამ ორი სიტყვათშეხამების კონტამინაციის ნიმუშია შემდეგი მაგალითი:

ამ მიზეზებმა წარუშლელი კვალი დაახვა მერმინდელი საუკუნეების პროზას („ლიტ. ხაჭ.“).

12. გვხვდება ასეთი წინადადება:

საავადმყოფოს გამოცდილი ექიმებიც კი შეკრთნენ და აღარ იცოდნენ, რა გზას სწეოდნენ („თბილ.“).

ქართულში არსებობს ორი ფიგურალური გამოთქმა **ბედს ეწევა და გზას დაადგება**. მოტანილი მაგალითი ამ ფიგურალური გამოთქმების კონტამინაციის შედეგი ჩანს და უმართებულოა. უნდა ყოფილიყო **აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ**.

მსგავსი შემთხვევები თანამედროვე პროზის ენაში არც თუ იშვიათია.

13. ქართულში გავრცელებულია ორი ფიგურალური გამოთქმა: **სულს ძლივს ითქვამს და სულს დაფავს**. პირველი ნიშნავს: სუნთქვა უჭირს, გაჭირვებით სუნთქავს, სულს ძლივს იბრუნებს, ხოლო მეორე — კვდება, სიკვდილის პირასაა. გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დავადასტურეთ მაგალითი, რომელშიც ამ ორი გამოთქმის კონტამინაციაა:

როცა დავითი ხიდან ჩამოხსნეს, იგი ს უ ლ ს ძ ლ ი ც ს ღ ა უ ა ვ ღ ა .

მიღებული გამოთქმა ბუნდოვანს ხდის წინადადების აზრს — არ ჩანს, ხიდან ჩამოხსნილი კაცი კვდებოდა, თუ მას მხოლოდ სუნთქვა, სულის მობრუნება უჭირდა. ეს გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ ზმნა ითქვამს თავისი სემანტიკის გამო იგუებებს ზმნისართს ძლივს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამავე მიზეზით ღაფავს ზმნასთან შეუფერებელია.

14. უჩვეულო სიტყვათშეხამებაა აგრეთვე პრესაში დადასტურებული ძვალსა და რბილში ფესვი აქვს გადგმული.

კომუნისტური ქვეყნების ახალგაზრდა თაობის ძვალსა და რბილში მტკიცედ აქვს გადგმული ფესვი იმ აზრს... რომ ფაბრიკებს ხალხი აშენებს და ისინი ხალხს ეკუთვნის (კომ.⁴).

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ფიგურალურად, არაპირდაპირი მნიშვნელობით ხშირად იხმარება გამოთქმა ფესვი აქვს გადგმული, მაგრამ ამ გამოთქმას, ჩვეულებრივ, ძვალსა და რბილს არ უკავშირებენ. ბუნებრივი ქართული გამოთქმებია ძვალსა და რბილში აქვს გამჭდარი, ძვალსა და რბილში გაუჭდება.

15. მყარი გამოთქმა ერთი სული აქვს დღეს საკმაოდ პროდუქტიულია და ნიშნავს: სული მიუღის, ძალიან ეჩქარება. ამ გამოთქმისათვის რომელიმე წევრის მოკლება მას შინაარსს აცლის და ფუნქციას უკარგავს. ამიტომ აზრი ბუნდოვანი გამხდარა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში, რომელშიაც სწორედ ასეთი ოპერაცია მოუხდენიათ:

სალამოსვე გამზადებული მისალოცი იღლიაში ამოვიჩარე, ყურებიანი ჭელი ნიკაპს ჭვეშ შევისკვენი და ერთი სულით გავეშურე დეიდა ელენეს სასლისავენ (კახ. კომ.⁵).

16. კუთხური სიტყვა თავპატიფი ბოლო დროს დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულში და იგი, ჩვეულებრივ, იხმარება მასდართან გადება, ან ზმნასთან გაიდო (თავპატიფის გადება, თავპატიფი გაიდო); მათი მნიშვნელობაა: ტყუილად, განგებ უარზე დადგომა, — განაზება, გაპრანჭვა. ამ ფიგურალურ გამოთქმაში ზმნის პრევერბის შეცვლა არაბუნებრივია, მაგრამ გვხვდება კი:

სტუმრები ვიყავით და თავპატიფი დავიდეთ (კახ. კომ.⁶).

17. ქართულისათვის ჩვეულებრივია ფიგურალური გამოთქმა

გავლენის ქვეშ მოექცა. მისი უჩვეულო პერიფრაზი გვაქვს წინადადებაში:

იქნებ კიდევ შეიძლება ზოგი მათგანის შევლა ან იმათი მობრუნება, ვინც უნებლიეთ მიეცა ცუდის გავლენას? („ხაბჭ. ხელ.“).

ცხადია, რომ მიეცა ზმნა მოყვანილ წინადადებაში უადგილოდაა ნახმარი. მიეცემა (მიეცა), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მოიცავს რამე (მთლიანად), თავს მისცემს, ამ შინაარსით ეხამება სიტყვებს: **განცხრომა, ძილი, ფიქრები, სიხარული, მოხვენება** და ა. შ. **გავლენა** კი ამ კონტექსტისათვის შეუფერებელია.

გარდა აღნიშნული სახის დარღვევებისა, პრესის ენაში დასტურდება მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელ სინტაგმათა ხმარების სხვა შემთხვევებიც.

ა. გვაქვს ორი ჩვეულებრივი გამოთქმა: **რამდენიც გაგიხარდება და სანამ არ მოგწყინდება.** მათი აღრევით მიღებული სიტყვათშეხამება **რამდენიც არ მოგწყინდეს** კი უჩვეულოა:

თუ შემდეგ ცუდად წავიდეს შენი ცხოვრება, მე დამენდურე, მაგინე, რამდენიც არ მოგწყინდეს („კომ.“).

ბ. ქართულში გავრცელებულია ჩვეულებრივი გამოთქმები — **კარგ ვუნებაზე აყენებს, კარგ ხასიათზე აყენებს.** ამათი ანალოგიითაა გაკეთებული **კარგ ფიქრზე არ აყენებს, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ ქართულად.**

წინათგრძნობა **კარგ ფიქრზე არ აყენებს** მოხუცს („კომ.“).

გ. შეგვხვდა ასეთი წინადადება:

განა შეიძლება მათ აზრადაც მოსვლოდათ, რომ ვიღაც კოჩნოვი იმ დღეს... საკმაოდ გამოთვრებოდა („თბილ.“).

ხაზგასმული სინტაგმა მიღებული ჩანს ორი გავრცელებული ფიგურალური გამოთქმის — **აზრად მოხდის და აზრადაც არ მოხდის** — არასწორი შერწყმის შედეგად.

დ. ქართულის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამების ნიმუშია დადასტურებული შემდეგ წინადადებაში:

მგზავრებს ისლა დარჩენოდათ, რომ ბედისწერას დალოდებოდნენ („კომ.“).

მართებული იქნებოდა, ეხმარათ: **ბედს დალოდებოდნენ ან ბედისწერას დამორჩილებოდნენ.**

ე. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, კერძოდ, პრესის ენაშიც, ზოგჯერ, სტილისტიკური მიზნით, იხმარება არქაული ლექსიკა ან არქაული გამოთქვამები. მაგრამ საჭირო ეფექტის მოსახდენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ამგვარი არქაიზმი არა მართო მარჯვედ, არამედ სწორი ფორმით იყოს გამოყენებული. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. გაზეთ „სამშობლოში“ კვითხულობთ:

მუხლმოდრეკით ამბორს უგებენ დიდი და მცირე.

ამბორი ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვაა. ძველში იგონიშნავდა კოცნას. თანამედროვე ქართულში ამ სახელისაგან მიღებული **ეამბორება** ნიშნავს: ძოწიწებით, მორიდებით კოცნის, ემთხვევა (ჩვეულებრივ, ხელზე, შუბლზე). ზემოთ მოყვანილ წინადადებაში საუბარია დედაზე. ავტორს, ჩანს, სურდა მხატვრულად ეთქვა — დიდი თუ პატარა დედას მუხლმოდრეკით ეამბორება, ეთაყვანებო, მაგრამ ნათქვამი კარგად ვერ გამოუვიდა. სახელთან **ამბორი** ბუნებრივია ზმნა **უყოფენ** და ძველ ქართულ ძეგლებში არაერთგან დასტურდება კიდევ კომპოზიტი **ამბორისყოფა**². რაც შეეხება **გუბას** — ეს ზმნაც ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი და დღევანდელ სალიტერატურო ენაში რამდენიმე ფიგურალურ გამოთქმასაც კი ქმნის (**ნიშნს უგებს, ანდერძს უგებს, მახეს უგებს** და მისთ.), მაგრამ ის არასოდეს არ იხმარება არსებით სახელთან **ამბორი**. ამიტომ ზემოთ დამოწმებულ წინადადებაში აშკარა შეცდომაა. იგი გამოწვეულია **გება** და **ყოფა** სიტყვების აღრევით.

ე. თანამედროვე სალიტერატურო ენაში იხმარება ძველი ქართულიდან შემორჩენილი გაქვეყნებული სიტყვათშეხამება **ალიგავა პირისაგან მიწისა**, რომლის შინაარსი დღესაც სრულიად გამკვირვალეა. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მას გაუაზრებლად ხმარობენ, რის გამოც უმართებულოდ უკავშირდება ფრაზის წევრები ერთმანეთს. ასეთებია:

მაგრამ ხატინი ერთადერთი სოფელი როდია გერმანელი ფაშისტების მიერ აღგვილი მიწისაგან პირისა (სკომ.). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დედამიწისაგან პირისა აღგვილ იქნა კაპიტალიზმის ყოველგვარი გადმონაშთი (სკიათ. მალ.).

² ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 5.

პრესის ენასაც, ისევე, როგორც მხატვრული ნაწარმოების ენას, გამომხატველსა და ემოციურს ხდის, მოქნილობას მატებს ფრაზეოლოგიზმების, იდიომებისა და მყარი გამონათქვამების გამოყენება, მაგრამ ამგვარ გამონათქვამებს განსაკუთრებული სიფრთხილით სჭირდება მოპყრობა. ენის მიერ ტრადიციულად უკვე შესისხლბორცებული ამგვარი სიტყვათმეხამებების დარღვევას სალიტერატურო ენა ვერ იტევს.

II. შეცდომების ერთ დიდ წყებას თანამედროვე ქართული პრესის ენაში ქმნის შეუსაბამობანი სიტყვის შერჩევის თვალსაზრისით ატრიბუტულ სინტაგმაში.

როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვა სინტაგმაში უნდა შეირჩეს მისი ზუსტი აზრობრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ცნობილი რუსი მწერლის კონსტანტინე ფედინის მართებული თქმით, «Точность слова является не только требованием стиля, требованием здорового вкуса, но прежде всего — требованием смысла»³. სამწუხაროდ, პრესის ფურცლებზე ხშირად არ იცავენ სალიტერატურო ენის ამ უპირველეს მოთხოვნას.

მსაზღვრელი წინადადებაში ერთ-ერთი ამხსნელი სიტყვაა. ის აუცილებლად დაკავშირებულია სხვა, საგნის აღმნიშვნელ, სახელთან და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის, თვისების თვალსაზრისით. მაგრამ გარკვეულ საგნებს ბუნებაში გარკვეული თვისება (თვისებები) მიეწერება და არ შეიძლება ამას ანგარიში არ გაეწიოს. არ შეიძლება ნებისმიერ საგანს მისთვის შეუფერებელი ნებისმიერი ნიშანი ან თვისება მივაწეროთ. ჩვენ მიერ ქვემოთ განხილულ მასალაში უმართებულოდ შედგენილი სინტაგმების ერთი ნაწილი მიღებულია იმის შედეგად, რომ ვერაა მარჯვედ შერჩეული მსაზღვრელი სიტყვა საზღვრულისათვის. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი ისეთ ნიშანზე ან თვისებაზე მიუთითებს, რომელიც მასთან დაკავშირებული სახელით ნაგულისხმევ საგანს ან მოვლენას არასოდეს არ ახასიათებს. ამის მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს: 1. უმეტესწილად არ არის სწორად გაგებული სინტაგმის რომელიმე წევრის ზუსტი მნიშვნელობა. 2. რამდენიმე შესაძლებელი სინონიმისაგან ამა თუ იმ საგნისათვის მართებულად ვერაა შერჩეული მსაზღვრელი სახელი. 3. არის ცდა „გაალამაზონ“, „მხატვრული“ გახადონ ფრაზა და ამ მიზნით იყენე-

³ К. Ф е д и н. Писатель, искусство, время, М., 1955, гл. 321.

ბენ მალალფარდოვან, ემოციურად დატვირთულ, მაგრამ მოცემული კონტექსტისათვის მნიშვნელობის მხრივ შეუფერებელ სიტყვას.

მოვიყვანოთ მაგალითებს:

1. ზედსართავმა სახელმა მალალი ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიფართოვა მოხმარების არე. ამის გამო, ზოგ, მეტისმეტად გაგრძელებულ, შესიტყვებაში იგი ერთგვარ ლექსიკურ შტამბადაც კი იქცა — დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება და აღრინდელი გამომსახველობა. ამას მოჰყვა ის, რომ, არც თუ იშვიათად, ეს ზედსართავი ისეთ სინტაგმაშიც მოხედა, სადაც მისი არსებობა ყოველად გაუმართლებელია. ნიმუშები:

მალალი სისუფთავის პრობლემა ტექნიკაში („მეცნ. და ტექნ.“); მალალი სისუფთავე მრეწველობის დიდტონაჟიან დარგებშიაც შეიჭრა (იქვე); უნდა ვუსურვოთ ყველას... ვისაც კი უყვარს ხელოვნება, პატივი სცენ ამ მშვენიერ ნივთებს და განიცადონ ისეთივე მალალი ტკბობა, როგორიც განიცადა მე („ლიტ. და ხელ.“); ისინი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოლქის მეომართა მალალი გაწვრთნილობის, დისციპლინის... მიწვევებელია („კომ.“); ასეთი მალალი გამომხატულება საქართველოდან ჩვენთვის მეტად ძვირფასია („ლიტ. საქ.“); შეიძლება იგივე მალალი ტერმინი მივუყენოთ შვეიცარიელ ლიტერატორთა... კეთილგანწყობილებებს ხარისხს (იქვე); მალალი სტარტი შენარჩუნებულ იქნება ხუთწლედის მეორე წლის მიჯნების აღებისათვის („ქობა. მალ.“); ჩეხოსლოვაკელებმა მალალი რეპუტაცია დაიმსახურეს ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში („აფელა“); მალალი იუგოსლავიელი სტუმრის პატივსაცემად გამართულ სადილზე („სოფლ. ცხოვრ.“); მალალი ჯილდო გვავალებს („აფელა“); როცა გვეკითხებიან, თუ როგორ ვაღწევთ მალალ წველადობას, ჩვენი მწველავები უბრალოდ პასუხობენ: ვარგი კვებითა და მოვლით („ლენ. გზით“); იგი არის შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანიშნულების თვისებრივად ახალი, უმადლესი საფუძველი („იხგ. სკოლაში“).

ყველა შემთხვევაში მალალი უადგილოდაა ნახმარი. მის მაგივრად უნდა ეხმარათ დიდი⁴, უხვი, კარგი, საპატიო ან რაიმე სხვა განსაზღვრება. ხან კი არც ამგვარი შენაცვლება გამოასწორებდა საქმეს — საჭირო იყო აზრი სხვაგვარად გადმოეცათ.

ამ ზედსართავის ხშირად და უმართებულოდ ხმარება ზოგჯერ მას სავსებით უკარგავს ძირითად მნიშვნელობას. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იგი გვხვდება სრულიად საწინააღმდეგო შინაარსით:

... ვენახების ყველა სამუშაო მალალ აგროვადებში ვანხორციელდა („ახ. ცხოვრ.“).

⁴ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავები მალალი და დიდი განსაკუთრებით ხშირადაა აღრეული ერთმანეთში. ამ მოვლენის ახსნისას, ალბათ, რუსული ენის გავლენას ვერ გამოვირიცხავთ.

ავტორს, უთუოდ, უნდოდა ეთქვა მოკლე ვადებში.

მოსავალი შეიძლება იყოს **კარგი, ცუდი, დიდი, უხვი...** მაგრამ არავითარ შემთხვევაში **მაღალი** ან **მყარი**. ჩვენი პრესის ფურცლებზე კი ამ არსებითი სახელის მსაზღვრელად ხშირად უმართებულოდაა ნახმარი ზედსართავები **მაღალი** და **მყარი**.

... შევხვდებით ერთად წელს მაღალი მოსავალი მოეყვანე („ლენ. დროსა“); რაიონის უმრავლესმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავალი მიიღო („ლენ. გზით“); საფუძველს უყრიან უხვ და მყარ მოსავალს („განთ.“, ვანი); აღნიშნული კამპანიის აგროვადებში ჩატარება უხვი და მყარი მოსავლის საფუძველთა საფუძველთა („ახ. ცხოვრ.“).

მაღალი მნიშვნელობის მხრივ შეუფერებელი მსაზღვრელია, აგრეთვე, სიტყვისათვის ტემპი. ტემპი შეიძლება იყოს ჩქარი, აჩქარებული, ნელი, შენელებული... მაგრამ არა **მაღალი, დაბალი**, ან, მით უმეტეს, **გაქანებული**:

სულ უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობს აფხაზეთში ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენება („საქ. სახ. მეურნ.“); მაღალი ტემპით ვითარდება კვების მრეწველობაც (იქვე); მანქანათმშენებლობის შედარებით დაბალი ტემპებით ზრდის პირობებში უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების მაღალი დონე (იქვე); სოფელში შესვლისთანავე თვალში გვეცხათ ახალმშენებლობათა გაქანებული ტემპი („კომ.“).

2. გამოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით პროდუქტიულია, აგრეთვე, ზედსართავი სახელი **დიდი**, მაგრამ მსაც ზოგჯერ დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, გაცვეთილია, ვეღარ იწვევს მოსალოდნელ ეფექტს ანდა უკავშირდება ისეთ სახელს, რომელთანაც არ შეიძლება იყოს მნიშვნელობის მხრივ დაკავშირებული — მოულოდნელ სინტაგმას ქმნის. უკანასკნელ შემთხვევებში ის უმართებულოდ ენაცვლება ზედსართავებს **მაღალი, კარგი, ბევრი, ავტორიტეტული** და მისთ. ნიმუშად:

საბჭოთა მწერლების შემოქმედებას არაერთგზის დაუშასხურებია ხალხისა და პარტიის დიდი შეფასება („ლიტ. საქ.“); ამ საქმეში თავისი დიდი სიტყვა უნდა ექვს ქალაქის ინტელიგენციამ („ახ. კომ.“); კონფერენციაზე დიდი საუბარი გაიმართა... გაღუფლებულ ამოცანებზე („სოფლ. ცხოვრ.“); სწორედ ამაზე გაიმართა დიდი საუბარი... სსსტუმრო „ივერიის“ საკონფერენციო დარბაზში („თბილ.“); ჩვენ დიდი სადავო როდი გაქვს დაბლაგომელთა სოკოლმეურნეო კედლის გაზეთის ხელმძღვანელობაზე („წინსვლა“).

⁵ ამგვარი მართებული სიტყვათშეხამება გვხვდება კიდევ პრესაში: ჩქარი ტემპით შენდება სამრეწველო საწარმოები („საქ. სახ. მეურნ.“); ჩქარი ტემპით ვითარდება აფხაზეთის ასსრ... კვების მრეწველობა (იქვე).

3. ხშირად უადგილოდ იხმარება, აგრეთვე, ზედსართავი საბე-
ლი ღრმა. მაგალითად:

მისი ღრმა სურვილია მოიპოს შური და შტრობა („აბ. კომ.“);
ღრმა კომენტარს უყვებებს თვითეულ პარტიას („თბილ.“); ყოველი ტემ-
ნიკური რევოლუცია ღრმა კავშირშია მეცნიერებაში მომხდარ რევოლუ-
ციასთან („საქ. სახ. მიურნ.“); შეუძლებელია ღრმა თანაგრძნობის გა-
რეშე წარმოვიდგინოთ გამანადგურებელი მოვლენების გრძნობა იხალგაზრდა კა-
ციისა... („თბილ.“).

მართებული იქნებოდა ხაზგასმული სინტაგმების ნაცვლად
გვეხმარა: დიდი სურვილი, ვრცელი კომენტარი, მჭიდრო კავშირი,
გულწრფელი თანაგრძნობა.

4. ფრანგულიდან შემოსული სიტყვა ხიურპრიზი მოულოდნელ,
მაგრამ აუცილებლად სასიამოვნო ამბავს ან საჩუქარს ნიშნავს. ამდენ-
ნად, ამ სიტყვის მსახლერელად უსიამოვნოს გამოყენება მხოლოდ
გაუგებრობაა. პრესაში კი ასეთიც დასტურდება:

გათამაშება უსიამოვნო სიურპრიზით დაიწყო („ლელო“).

5. სიტყვა მერძეული ნიშნავს: რძის მომცემს, მეწველს. მაშასა-
დამე, მერძეული შეიძლება იყოს ძროხა (ფური) ან სხვა რომელიმე
მეწველი ცხოველი, პირუტყვი, მაგრამ არა ფერმა და კოლმეურნეო-
ბა. ფერმის ატრიბუტად მერძეულის ხმარება გაუმართლებელია. ამ-
გვარი შემთხვევები კი დასტურდება.

გადაუშვადეს რეკომენდაციები მცირე სულადობის მერძეული ფერ-
მების შექანიზაციის... შესახებ („კომ.“); ხახათის მახლობლად აშენდება სასუ-
ქი და სანაშენო, ხოლო ნიკორწმინდაში მერძეული ფერმები („ლიტ-
საქ.“); გასულ წელს მერძეული მიმართულების კოლმეურნეო-
ბათა ფერმებისათვის უნდა გადაგვეცა 15 სული დაბბოიანებული
ძროხა („განთ.“, განი).

აღნიშნული ზედსართავი, რა თქმა უნდა, პარალელურად იხმა-
რება თავის ადგილზეც:

კომპინირებული საკვები ეძლევა მხოლოდ მერძეულ პირუტყვს
 („გამარჯვ.“); მერძეული პირუტყვის ფერმაში გაშლილ სოციალისტურ
 შეიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა № 2 ბრიგადა („იერ. განთ.“).

6. რამდენიმე შეუფერებელი ატრიბუტია გამოყენებული, აგ-
რეთვე, არსებით სახელთან კაცი. მაგალითად:

მე უაღრესად რელიგიური კაცი ვარ („გამარჯვ. ვა“).

რელიგიური შეიძლება იყოს რწმენა, სექტა, მოქღვრება და მისთ. ეს ატრიბუტი გამოდგება მხოლოდ უსულო სახელისათვის. კაცი არ შეიძლება იყოს რელიგიური. ამ შინაარსის გადმოსაცემად ქართულს აქვს ძალიან მარჯვე სიტყვა **მორწმუნე**, ღვთისმოსავი, რომელიც ზოგჯერ ზედსართავის როლში გვხვდება (**მორწმუნე კაცი**), ზოგჯერ კი არსებითადაც გამოიყენება.

7. ამგვარივე სახის დარღვევაა ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაშიც:

განა ჩვენს სოფელში ზალხი გამოილია... რომ მინცადამინც ასეთ ჭირგავილ და გმირულ კაცს ვეცით? („მნათ.“).

გმირულიც განსაზღვრებად მხოლოდ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებს შეეფერება: **გმირული სული**, **გმირული საქმე**, **გმირული შემართება**, **გმირული ეზობეა**... კაცი კი **გმირული** ვერ იქნება. ავტორს, როგორც ჩანს, უნდა ეთქვა **გმირი**.

8. გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როცა მხოლოდ ცოცხალი სახელისათვის შესაფერი ატრიბუტი გამოყენებულია არაცოცხალ სახელთან. მაგალითად:

სათანადო ინვენტარის გარჩევით გადაცემული მასალა უფრო გასაგები და შთაბეჭდილებიანია მოსწავლეათვის („იხვ ხკოლაში“); ახსნისას საინტერესო და შთაბეჭდილებიანი იქნება ჩვენი თხრობა (იქვე).

შთაბეჭდილებიანი შეიძლება იყოს **ადამიანი**. აქ კი უნდა ეხმარათ სიტყვა **შთამბეჭდავი**, რაც ნიშნავს შთაბეჭდილების მომხდენს და შეეფერება კონტექსტის შინაარსს.

9. ასევე, **მოწინააღმდეგეც** შეიძლება იყოს მხოლოდ **ადამიანი** ან სხვა გასულიერებული საგანი. სიტყვა **აზრს** კი მსაზღვრელად შეეფერება **საწინააღმდეგო**. შდრ.:

არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც გამოთქვამენ... მოწინააღმდეგე აზრებს („კომ.“).

ქართულში, ისე როგორც სხვა ენებშიც, სიტყვას უმრავლეს შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. კარგი მოქართულე ვალდებულია გაითვალისწინოს ენის ეს მხარე და სინტაგმა ისე შეადგინოს, რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს ყველა სხვა შესაძლებელ ვარიანტთაგან უფრო შესაფერისი სიტყვები. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ამის გათვალისწინება ყოველთვის ვერ ხერხდება და შედეგად ვიღებთ ორი სიტყვის აზრობრივი შეუთავსებლობის არაერთ შემთხვევას.

ანგარიშგისაწევია ის გარემოებაც, რომ ხშირად ორი სხვადასხვა სიტყვა მნიშვნელობით ახლოს დგას ერთმანეთთან და ქმნის მათი მონაცვლეობის შესაძლებლობას, მაგრამ, ეს მონაცვლეობა ზოგჯერ თუ გამართლებულია, ზოგჯერ სრულ გაუგებრობას იწვევს, რადგან მათ, ზოგ შემთხვევაში მაინც, აქვთ ერთმანეთისაგან მნიშვნელობის მხრივ განსხვავებული ნიუანსი, ემოციური ელფერი და ტრადიციულად დამკვიდრებული ადგილი შესიტყვებაში. ამიტომ სინონიმურ ან მსგავს მსაზღვრელთა რიგიდან ამა თუ იმ სახელისათვის უნდა შეირჩეს ყველაზე უფრო შესაფერისი, მოხერხებული და მარჯვე მსაზღვრელი.

10. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ ჟურნალ-გაზეთების ენაში ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე ვერ არის. მოვიყვანთ სხვა მაგალითებსაც.

ავვისტოს შუა რიცხვებში მკაცრი სიცხეები დაიჭირა („გამარჯვდრთმა“).

მკაცრი სიცხეები ქართულისათვის უჩვეულო სინტაგმაა. ჩვეულებრივია მკაცრი სიცხე, მკაცრი ზამთარი¹, რადგან ამ ზედსართავის ერთ-ერთი მნიშვნელობაა სუსხიანი // ულმობელი, სასტიკი. ასევე ჩვეულებრივია ქართულისათვის დიდი სიცხეები. დამოწმებულ წინადადებაში უჩვეულო სიტყვათშეხამება გამოიწვია ამ ორი, მსგავს სიტუაციებში ხშირადხმარებული სინტაგმების (მკაცრი სიცხე, დიდი სიცხე) აღრევამ.

11. არსებით სახელს ზარალი დღევანდელ ქართულში ხშირად ახლავს განსაზღვრებად მიყენებული. ამ შინაარსის გადმოსაცემად ჩადენილი არ ვარგა. ჩადენილიო ვამბობთ დანაშაულზე. ქვემოთ დავიმოწმებთ წინადადებას, სადაც ამ ორი სინტაგმის აღრევის შედეგად მიღებული გვაქვს ქართულისათვის დღეს შეუფერებელი სიტყვათშეხამება ჩადენილი ზარალი.

მათ შიერ ჩადენილი ზარალი არც ისე უმნიშვნელოა („ივრ. განთ.“).

12. „ლიტერატურულ საქართველოში“ გკითხულობთ:

დღეს ფორსირებული ბრძოლაა გამოცხადებული მონოლითური ბუტონის წინააღმდეგ, რაც გამოუსწორებელ დაღს ასეაჲს ჩვენი არტიტეტურის ზარისხს.

¹ შდრ., მაგ., ზარზან მეცხოველეებს მკაცრი ზამთარი ჰქონდათ („სოფლ. ცხოვრ.“).

ქართულისათვის ჩვეულებრივია მყარი შესიტყვებები: გამოუსწორებელი შეცდომა, გამოუსწორებელი დანაშაული, გამოუსწორებელი ნაკლი. მაგრამ სიტყვასთან დადი ატრიბუტად იხმარება წარუშლელი, წარუხოცელი: წარუშლელი დადი, წარუხოცელი დადი. დადის გამოსწორებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

13. ყურადღებას იქცევს სიტყვათა ასეთი შეხამება: მიუტევებელი მოვლენა.

საქართველოს დასახლს გზები ამ უარყოფით, ყოველად მიუტევებელ მოვლენათა აღსაქვეთად („თბილ.“).

მიუტევებელი ნიშნავს: არასაბატიებელი, შეუწყნარებელი, რაც არ მიუტევებიათ და, ჩვეულებრივ, იხმარება სიტყვებთან ცოდვა, შეცდომა, საქციელი. მოვლენა მიუტევებელი არ შეიძლება იყოს. ის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და ა. შ.

14. ბრესის ენაში ამ ბოლო დროს ხშირად ვხვდებით უმართებულო ფრაზას საუკუნეების გრძელ მანძილზე. მანძილთან ვხმარობთ ზედსართავეს დიდი და მოკლე. გრძელი ჩვეულებრივია სიტყვა გზა-სთან. ამდენად, გვაქვს ბუნებრივი შესიტყვებები გრძელი გზა და დიდი მანძილი. გრძელი მანძილი, ჩანს, მათი კონტამინაციით არის მიღებული.

ორი დიდებული მოიღოს მოსვლამ ახალი ძალით გახსნა საუკუნეების გრძელ მანძილზე მიყენებული კრილობანი („ლიტ. საქ.“).

აქვე შევნიშნავთ, რომ არსებით სახელთან გზა ბუნებრივ სინტიგმას ქმნის შუა ზედსართავე (შუა გზა, შუა გზაზე...). ამ შინაარსით ნახევრის (ნახევარ გზაზე) გამოყენება დღევანდელი ქართულისათვის არ ჩანს მართებულად.

არ შეიძლება ნახევარ გზაზე შეჩერდეთ ამ კეთილშობილურ ბრძოლაში („კომ.“).

15. ქართულში გვაქვს ორი სინონიმური სიტყვა თოთო და ქორფა. მათი მნიშვნელობებია: ახალი, ჩვილი, ნეღლი, ნორჩი. მიუხედავად მათი იდენტური მნიშვნელობისა, ისინი მსაზღვრელად სხვადასხვა სახელს იგუებენ. თოთო, ჩვეულებრივ, შეიძლება შეეწყოს სიტყვებს: ფოთლები, ყლორტი, ბავშვი, ... ქორფა კი — სახელებს: კიტრი, მწვანელი... ამიტომ ქართულისათვის შეუფერებელია თოთო კიტრები ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში:

სიტყვი... თავის ბოსტანში იყო და თოთო კიტრებს კრეფდა („ლიტ. საქ.“).

16. დასტურდება ასეთი მავალითები:

საბალხოს კონტროლის ორგანოებში ახალ არჩეულ კონტროლიორებს თუ სურთ წარმატებით გაართვან თავი მათზე მინიჭებულ მოვალეობას, დღენიადავ უნდა იზრუნონ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის („კომ.“). ბაზრის საეპტრო მომსახურების ბიურო ჯეროვნად ვერ ახორციელებდა დებულებით მინიჭებულ უფლებებ-მოვალეობებს (იქვე).

ანიჭებენ წოდებას, ხარისხს, მნიშვნელობას და არა მოვალეობას. მოვალეობა შეიძლება იყოს დაკისრებული.

17. მარჯველ ვერ არის შერჩეული მსაზღვრელი სიტყვა ცოდნისათვის შემდეგ მავალითში:

მისი მოთვარი ამოცანა მისცეს მოსწავლეებს შეცნობათა საფუძვლების მკვიდრი ცოდნა („ახ. ცხოვრ.“).

მკვიდრი ნიშნავს მტკიცეს, მაგარს, ურყევს. მაგრამ იგი, ჩვეულებრივ, გამოიყენება რაიმე ნაგებობის ატრიბუტად, ცოდნას კი მსაზღვრელად უფრო მყარი, საფუძვლიანი შეეფერება.

18. ასევე უხერხულად ქლერს მკაცრის ნაცვლად მტკიცეს გამოიყენება დღეს ჩვეულებრივ და საკმაოდ გავრცელებულ გამოონათქვამში — მკაცრი წოლითი რეჟიმი:

მენიერის დაფადების შეტაების დროს აუცილებელია მტკიცე წოლითი რეჟიმი („ხოფლ. ცხოვრ.“).

19. ქვემოთ მოყვანილი წინადადების ავტორმა, როგორც ჩანს, კარგად ვერ გაითვალისწინა სიტყვა ნატიფის მნიშვნელობა და შეუფერებელ კონტექსტში იყენებს მას.

მამამისი მუსიკის ნატიფი პედაგოგი იყო („თბილ.“).

ალბათ, ფრაზის ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ გარკვეული პირი კარგი, საუკეთესო ან ნიჭიერი პედაგოგი იყო. ნატიფი ნიშნავს ლამაზად გამოკვეთილს, — მშვენიერს, მოხდენილს, ფაქიზს, ნაზს. ეს დანასიათებები სრულიად შეუფერებელია პედაგოგი სიტყვისათვის.

20. ასევე შეუფერებელი ჩანს შედეგების მსაზღვრელად დაბალი შემდეგ წინადადებაში:

სწორედ ეს არის დაბალი შედეგების მიზეზი („ლელო“).

შედეგი შეიძლება იყოს: კარგი, ცუდი... მაგრამ არა დაბალი ან დაბალი.

21. არც სიტყვა **კომმუნურიზმის** მსაზღვრელად გამოდგება ზედსართავი მცირე:

ისეთი მცირე და მთავარიანი კომმუნურიზმისათვის, როგორც ხედისათვის, ეს ურიგო როლია... („სოფლ. ცხოვრ.“).

მართალია, მცირე და პატარა სინონიმებია, მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში ვერ შეცვლიან ერთმანეთს. აქ უნდა ეხმარათ პატარა ან წვრილი.

22. ქართულისათვის დღეს სრულიად ბუნებრივია გამოთქმა **გამოუვალი მდგომარეობა**, მაგრამ ეგვე მსაზღვრელი **გამოუვალი** შეუფერებელია სიტყვისათვის ვითარება. მაგალითად:

ანსამბლის განვითარების პროცესში თანდათან მცირდება მოქმედ პირთა შორის არსებული დისტანცია — მიხდება გამოუვალ ვითარებას განიცდის („საბჭ. ხელ.“).

23. სინტაგმაში სიტყვათა უმართებულო დაკავშირების მაგალითია, აგრეთვე, შემდეგი წინადადება:

...ორგანიზმში მიმდინარე ქრახოვანი პათოლოგიური მდგომარეობის ანარეკლ წარმოადგენს... („სოფლ. ცხოვრ.“).

ჩანს, აქ ავტორი შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ არსებობს სინტაგმა **პათოლოგიური მდგომარეობა**, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა წინ უკვე ნახმარი სიტყვა **მიმდინარე**, რომელიც მეწყვილედ იგუებებს სიტყვა პროცესს და არა მდგომარეობას. ე. ი. უნდა ყოფილიყო: ...**მიმდინარე... პათოლოგიური პროცესის ანარეკლი...**

24. გაუგებრობას იწვევს ერთმანეთისათვის სრულიად შეუფერებელი ზოგი მსაზღვრელისა და საზღვრულის დაკავშირება შემდეგ წინადადებებში:

ამ პირობებში იმპერიალიზმი გააფთრებულ დონის ძიებებს მიმართავს, რომ გაიზანჯრძლივს არსებობა („კომ.“); მოაზლოებელი ეკონომიური დაქვეითების მრისხანე სიმეტომები აღნიშნულია არა მარტო კაპიტალისტური სამყაროს ამ ციტადელში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც (იქვე); მუზღაურები მსიარული განცვიფრებით ადვენებდნენ თვალყურს ამ სცენას („თბილ.“); ვაკეც საქმე მკვლელობის შესახებ, — ხალისიანი, სისხლსავსე ხმით გამოაცხადა უფროსმა („მებრძ. გუშაგი“); საკოლმეურნეო სექტორში 1968 წლის განმავლობაში საშუალოდ 8031 ფიზიკური ტრაქტორი ირიცხებოდა („საქ. სახ. მეურნ.“); მათ დამღივს ბუნების მთიური კაპრიზები („კომ. დროშა“).

სინტაგმებში მსაზღვრელ-საზღვრულთა შეუფერებელი დაკავშირების კიდევ რამდენიმე შემთხვევა იქცევს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევათა დიდი ნაწილი მართულმსაზღვრელიანია.

25. ფრანგულიდან შემოსული სიტყვა **შედევრი** დღეს საკმაოდ გავრცელებულია ქართულში და ნიშნავს: ხელოვნების, ოსტატობის მაღალხარისხოვან, სანიმუშო ნაწარმოებს, ქმნილებას. ჩვენს მასალაში კი ეს სიტყვა უმართებულოდაა ნახმარი:

ტექნიკას, ბურთის ფლობის შედეგებს ვერ გამოვიღო (აფლო).

აქ ლაპარაკია არა **შედევრზე**, ე. ი. ქმნილებაზე, არამედ თვით **ოსტატობაზე**.

26. სიტყვა **ერთგულება** არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს **კდემას**, რომელიც ნიშნავს დარცხვენას, შორიდებას, მოკრძალებას. ამიტომ წინადადებაში — „...ოჯახში ერთგულებების კდემა, შოლოდინის სიხარული, სიყვარულის ნათელი განუწყვეტლივ ციმციმებდა“ (**„სოფლ. ცხოვრ.“**) — ამ სინტაგმის გამო აზრი გაბუნდოვანებულია.

27. სიტყვა **მარაქა** ძველად ნიშნავდა მხოლოდ ქალთა კრებულს. შემდეგ მან გაიფართოვა მნიშვნელობა და დღევანდელ ქართულში იხმარება ადამიანთა ჯგუფის, ადამიანთა კრებულის შინაარსითაც. მაგრამ მისი გამოყენება საერთოდ საგანთა ერთობლიობის აღსანიშნავად არ შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული.

ამ მარაქების მარაქას არცთუ იშვიათად სახელმწიფო მანქანებიც ურევია (**„თბილ.“**).

წინადადების ავტორი, შეიძლება, შეცდომაში შეიყვანა ქართულში გავრცელებულმა ფიგურალურმა გამოთქმამ — **მარაქაში გაერევა**, მაგრამ ესეც მხოლოდ ადამიანების შესახებ ითქმის.

28. წინადადებაში — „**შრომისა და ცხოვრების მიმდევრული გამოწვეული მათი ბრძოლა მიზნად ისახავდა... ექსპლუატაციის მოსპობას**“ (**„ისგ სკოლაში“**) — სიტყვა **მდგომარეობით** უადგილოდაა ნახმარი. **შრომისა და ცხოვრებას** აზრობრივად შეეფერება **პირობები**: **შრომის პირობები, ცხოვრების პირობები**.

29. კრებითი სახელი **ფარა** ქართულ ენაში ტრადიციულად იხმარება ცხვრის სიმრავლის აღსანიშნავად: **ცხვრის ფარა**. მგლის სიმრავლეს კი, ისევე ტრადიციით, გამოხატავენ სიტყვა **ხროვით**: **მგლის**

ხროვა. ამიტომ ქვემოთ მოყვანილი წინადადება ვერ არის კარგი ქართულის ნიმუში.

შგლისა და მგლის ფარისა კი ბავშვობაშიც არ მშინებია („საშუ.“).

30. ასევე ვერ ჩაითვლება ბუნებრივ გამონათქვამად დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით **ლორების ჭგუფი**:

შეთხველი იფიქრებს, იქნებ, ანუამაღ ასუქებენ ლორების დიდ ჭგუფს ჩასაბარებლად? („ხოულ. ცხოვრ.“).

სიტყვა **ჭგუფი** თანამედროვე სალიტერატურო ენაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება, ძირითადად — გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ადამიანთა ერთობლიობის აღსანიშნავად. ლორების სიმრავლის აღსანიშნავად ეს სიტყვა ბუნებრივ ქართულ შესიტყვებას არ ქმნის. მის ნაცვლად უნდა ეხმარათ ძველი ქართულიდან შემორჩენილი **კოლტი**.

31. სინტაგმაში სიტყვათა უნართებულოდ დაკავშირების ნიმუშებია, აგრეთვე, შემდეგ მაგალითებში:

ტრადიციის მიხედვით, თვითუღმა ადამიანმა ამ დღესასწაულისთვის ტანისა მთოსის ერთი საგანი მიიღო უნდა შეიძინოს („კომ.“); იგი [ვაზბევი] ისე აღწერს, მსგავს სურათებს, თითქოს სიყვარულის მთელი ენერჯია სურს მის შეაღოს („ლიტ. ხაქ.“); გეგრა, წარმატების მოეპოვება, ღირსეულად აღენიშნათ ვ. ი. ლენინის დაბადების დიად იუბილეს („განთ.“, ვანი).

ყველგან სათქმელი ნაწილობრივ, მიახლოებითაა ნათქვამი. აშკარაა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი ტანისამოსის თუნდაც ერთ საგანზე, სიყვარულის ენერჯიაზე, დაბადების იუბილზე, ბუნებრივი ქართულია **დაბადების თარიღი** და არა **იუბილე**.

32. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც სინტაგმის ერთ-ერთი წევრი არასწორად არის ვაფორმებული სიტყვაწარმოებისა თუ ბრუნების თვალსაზრისით, რასაც შედეგად შინაარსობრივი დამახინჯება მოსდევს:

მოსალოდნელი იყო, ამოდენა სახელების წინაშე მღვარი კრიტიკოსისათვის ზომიერ გრძობას ელაღატა („ლიტ. ხაქ.“).

ასეთ კონტექსტში იხმარება **ზომიერების გრძობა** და არა **ზომიერი გრძობა**.

გვაქვს წინადადება:

გემოვნების მუსიკოსთა შეშვეობით მან ისეთი კოლექტივი შექმნა, რომ მსმენელი და მსაზღვრელი არ დაჰკლებია („კომ.“).

ავტორს უნდოდა ეთქვა: **კარგი, დახვეწილი გემოვნების მქონე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გემოვნებიანი მუსიკოსი, სინტაგმა გემოვნების მუსიკოსი** გაუგებარია.

თანამედროვე ქართულში გამოიყენება სიტყვა **ნასახი**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა კვალი, ნიშანი, ნატამალი. ეს სიტყვა მსაზღვრელად იგუებს ნათესაობითში დასმულ სახელს: **სინათლის ნასახი, კაცის ნასახი...** პრესის ენაში დასტურდება შემთხვევა, როცა ამ სიტყვასთან შეწყობილია -**ურ** სუფიქსით ნაწარმოები სახელი:

ლამარ შოფერს ელემენტარული ადამიანური ნასახიე არ აღმოაჩნდა („სოფლ. ცხოვრ.“).

ჩანს, აქ არეულია ერთმანეთში ორი ბუნებრივი ქართული გამოთქმა: **ადამიანური გრძნობა და ადამიანობის ნასახი.**

სინტაგმის ერთ-ერთი წევრის უმართებულო ფორმა აშკარა გაუგებრობას იწვევს შემდეგ წინადადებაში:

... მოსწავლეთა ჩანაწერებიდან შეიძლება გავარკვეოთ მძიმე ოჯახური ურთიერთობანი, მუგობრული უსიამოვნებანი, სიყვარულის გრძნობები... („სკ. და ცხოვრ.“).

ცხადია, რომ აქ იგულისხმება უსიამოვნებანი მეგობართა შორის, ამიტომ წინადადება სხვაგვარად უნდა გამართულიყო.

III. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ენობრივ დარღვევათა მოზრდილ ჯგუფს ქმნის შესიტყვებები, რომლებშიც მონაწილეობს შემასმენელი და ვითარების გარემოება.

როგორც ცნობილია, ვითარების გარემოების დანიშნულებაა წინადადებაში დაახასიათოს ზმნის მოქმედება. ვითარების გარემოებების გამოყენებისას პრესის ენაში იმგვარივე შეუსაბამობები გვხვდება, როგორც გვქონდა მსაზღვრელიან სინტაგმებში, ოღონდ, თუ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელის მნიშვნელობა არ იყო ბუნებრივი საზღვრულით აღნიშნული საგნის დასახასიათებლად, ამ შემთხვევაში ვითარების გარემოებით გადმოცემული შინაარსი არ შეიძლება მიესადაგოს შემასმენლით ნაგულისხმევ მოქმედებას.

მოვიყვანოთ მაგალითები:

1. შეხალათიანი გულაღმა დამხობილიყო („ცისკ.“).

აშკარაა ამ სინტაგმის უმართებულობა, რადგან გულაღმა ნიშნავს პირით ზევით, ხოლო დამხოზა — აუცილებლად პირით ქვევით წოლას. ამიტომ ამ ორი, მნიშვნელობით ერთმანეთის საპირისპირო, სიტყვის დაკავშირება არ შეიძლება. ჩვენ არ ვიცით, რა უნდოდა ეთქვა ავტორს, მაგრამ უნდა ეხმარა ან გულაღმა დაწოლილიყო, ან პირქვე დამხოზილიყო.

2. ზმნა დაეუფლოს გარემოებად იგუებს რამდენიმე სიტყვას: კარგად, ცუდად, ღრმად და მისთ. მაგრამ უხვად დაეუფლოს, როგორც ქვემოთ მოყვანილ წინადადებაშია ნახმარი, მცდარი გამოთქმაა:

ამ განწყობამ ხელი შეუწყოს ბავშვს, მოკლე დროში... ადვილად და უხვად დაეუფლოს უცხოური ენის სიტყვებს (იხე სკოლაში“).

ავტორს, როგორც ჩანს, მრავალი, ბევრი სიტყვის დაუფლება-ზე უნდოდა გაემახვილებინა ყურადღება და ამან შეიყვანა შეცდომაში.

3. ზმნისართი განუზრელად საკმაოდ ხშირად გვხვდება პრესაში: განუზრელად ატარებს პოლიტიკას, განუზრელად ახორციელებს მითითებებს... განუზრელად ყველგან ნიშნავს: ბირდაპირ, მტკიცედ, ურუხვად, მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა არ შეეფერება მასთან დაკავშირებული ზმნის მნიშვნელობას.

მათმა კანდიდატმა ახათუ ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა... არამედ ტურიდან ტურამდე განუზრელად კარგავდა მიცემულ ხმებს (საქკომ“).

4. ყურადღება მიიქცია ისეთმა წინადადებაში:

გმადლობთ ძვირფასო მეგობრებო, — უთხრა მან და ირგვილი შემორტყმილ თანამშრომლებს ჭეროვნად ჩამოართვა ხელი (საქკომ“).

მართალია, ზმნისართი ჭეროვნად ნიშნავს სათანადოდ, მართებულად, მაგრამ ამ უკანასკნელთა შემცველად იგი ყოველთვის არ გამოდგება. ჭეროვნად შეიძლება გადაწყდეს საკითხი, ჭეროვნად მომზადდეს რაიმე, ხოლო ხელის ჩამორთმევა შეიძლება მეგობრულად, მაგრად, ნაზად და ა. შ.

5. ვერ არის მარჯვედ გამოყენებული იბეჭდებიან ზმნის დასახასიათებლად, აგრეთვე, სიტყვა საკმაოდ:

ახალგაზრდა ავტორები კი საკმაოდ იბეჭდებიან „ცისკრის“ ფურცლებზე (საბ. კომ“).

შეიძლება ეთქვას: **საკმაოდ ხშირად იბეჭდებიან, ან მარტვად, ხშირად იბეჭდებიან, საკმაოდ იბეჭდებიან** კი უხერხული სინტაგმა.

6. ზმნისართი გულისხმიერად ბუნებრივია ატრიბუტულ სინტაგმებში: **გულისხმიერი დამოკიდებულება, გულისხმიერი მოპყრობა** და მიუხედავად იმისა, რომ იგი ნიშნავს: ყურადღებით, თანაგრძნობით, მისი ზმნისართად გამოყენება სიტყვასთან საუბარი უჩვეულოა:

ნათელა მერაღამილი გულისხმიერად ესაუბრება ჩაზმების საბჭოს თავმჯდომარეებს („პიონ.“).

საუბარი შეიძლება იყოს **გულითადი, გულთბილი...**

7. უმართებულოდ არის გამოყენებული ზოგჯერ ზმნისართი ბეჭითად:

ბეჭითად მოკითხოვთ სოფლის ხელმძღვანელობისაგან თავდადებულ შრომასა და რაინსებურ დისციპლინას. ასევე ბეჭითად უნდა ეიზრუნოთ აღამიანებზე („სოფლ. ცხოვრ.“).

ბირველ შენთხვევაში უნდა ეხმარათ **დაბეჭითებით**, ხოლო მეორეგან აჯობებდა **გულმოდგინედ**.

8. ზმნისართი ზერელედ, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა ზედაპირულად, არაგულმოდგინედ, ყველა ზმნას მეწყვილედ ვერ გამოადგება. ამის ნიმუშია ქვემოთ მოყვანილი წინადადება:

მეორე ნახევარი თბილისელებმა **ზერელედ დაიწყეს** და ამისთვის დაისაჯნენ კიდევ („ლელო“).

აჯობებდა ეთქვას: **არაგულმოდგინედ, არასერიოზულად, უბასუხისმგებლოდ**.

9. ზმნისართი უკიდურესად სინტაგმაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფით ნიუანსს შეიცავენ. ვამბობთ, მაგალითად: **უკიდურესად ღარიბი, უკიდურესად გაჭირვებული**, მაგრამ არ გვხვდება **უკიდურესად მდიდარი, უკიდურესად ბედნიერი**, მასალაში დასტურდება უმართებულო სიტყვათშეხამება **უკიდურესად ზღვსაყრელი** იყო.

თავდამსხმელებისათვის ეს უკიდურესად ზღვსაყრელი იყო („ლიტ. გაზ.“).

უნდა ყოფილიყო: მეტად ხელსაყრელი, უადრესად ხელსაყრელი, უკიდურესს კი მეწყვილედ შეეფერებოდა არახელსაყრელი (უკიდურესად არახელსაყრელი).

10. ვამბობთ პირნათლად შეასრულა და ნდობა გაამართლა, მაგრამ უცხოოდ ხვდება ყურს გამოთქმა პირნათლად გაამართლა ნდობა. მაგალითი:

მან პირნათლად გაამართლა დიდი ნდობა („ლიტ. საქ.“).

ზმნიხედა პირნათლად მარჯვედ ვერ არის გამოყენებული, აგრეთვე, შემდეგ წინადადებაში:

წარმატებით გაანადგონ წლიური ვალდებულებები და პირნათლად შეინარჩუნონ კომუნისტური შრომის სამჭროს საბატიო სხელი („წინხელა“).

11. გვაქვს წინადადება:

დღემდე ავტორიტეტულად არაინ დაინტერესებულა საჩივეზის გახსნით („სოფლ. ცხოვრ.“).

ავტორიტეტული ნიშნავს ავტორიტეტიანს, მას, რასაც ავტორიტეტი მოეპოვება. ბუნებრივი ქართული შესიტყვებებია: ავტორიტეტული სიტყვა, ავტორიტეტული დასკვნა. ზმნისართული მნიშვნელობით ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, იხმარება ზმნასთან განაცხადა; ავტორიტეტულად განაცხადა. ავტორიტეტულად დაინტერესება არაბუნებრივი და უხერხული გამოთქმაა.

12. სრულიად გაუგებარია ზმნისართის ფუნქცია ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში:

მაგრამ ერთ დღეს თვალის მომჭრელად შევფეთა სამამულლომიდან დაბრუნებული ჭაბუკის არწიული მზერა („ქოშ.“).

შეუფერებელი ზმნისართის გამოყენებამ გამოიწვია წინადადებით გადმოცემული აზრის გაბუნდოვანებაც.

13. ამ ბოლო დროს ხშირად იხმარება პრესის ენაში ზმნისართი მკვეთრად. იგი ნიშნავს: მკაფიოდ, აშკარად, გარკვეულად, გამოკვეთილად, ძლიერად, შესამჩნევად. ხშირად ხმარების გამო ამ სიტყვამ ზოგ შესიტყვებაში დაკარგა თავისი პირვანდელი გამომსახველობა, ზოგან კი მისი გამოყენება გაუშართლებელი ჩანს. მაგალითად:

პერი 11 კმ. სიმილუზედაც კი მკვეთრადაა გაჭუჭყიანებული („ლიტ. საქ.“); ისტორიამ ლეო ქიანელსაც მკვეთრად მიუჩინა ადგილი („საქ. აგიტ.“).

ზემოთ დასახელებულ ზმნებს ზმნისართად, ალბათ, უფრო შეეფერებოდა **ძლიერად, გარკვეულად.**

14. იგივე მდგომარეობაა ზმნისართთან **დიდად.** მანაც მეტად გაიფართოვა მოხმარების არე და ზოგჯერ მოქმედების დასახასიათებლად გამოიყენება ისეთ შესიტყვეებებშიც, სადაც სხვა ზმნისართების ხმარება უფრო მოხერხებული იქნებოდა. მაგალითები:

სატომ განაცხადა, რომ იაპონელ ხალხს დიდად სურს ოკინავა და ბონის კუნძულები („კომ.“); ... მათ [კავშირგაბმულობის მუშაკებმა] დიდად შეფასეს მისი ტექნიკური აღჭურვილობა („თბილ.“); ... თანამშრომლებმა შეიმუშავეს... ტორფიანი სასუქი, ... რომლებსაც დიდად იყენებენ სოფლის მეურნეობაში (იქვე).

ამკარაა, რომ დასახელებულ მაგალითებში უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ: **ძალიან სურს, კარგად შეაფასეს და ფართოდ იყენებენ.** რაც შეეხება ზმნისართს **დიდად,** იგი დღეს ბუნებრივი ჩანს მხოლოდ რამდენიმე შესიტყვებაში: **დიდად სასიამოვნოა, დიდად დავალებულია, დიდად საქებარია** და ა. შ.

15. ბოლო დროს, როგორც მხატვრული ლიტერატურის ვნაში, ასევე პრესაშიც გავრცელდა სიტყვათშეხამებები, რომლებშიც ზმნით აღნიშნული მოქმედების დასახასიათებლად გამოყენებულია განსაკუთრებული ემოციური ეფექტის მქონე ზმნისართები: **სასტიკად, საშინლად, აუტანლად, ხაოცრად** და მისთ. ამ ზმნისართებს აქვთ თავიანთი ძირითადი (ტრადიციული) მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობით იხმარებოდნენ და იხმარებიან დღესაც. **სასტიკად, ეპურობოდა, სასტიკად სჯიდა, საშინლად ბნელა, აუტანლად ცივა, ხაოცრად მგავს** და მისთანები ბუნებრივი ქართული გამოთქმებია. მაგრამ ამ ზმნისართებმა უკანასკნელ ხანს შეიძინეს ახალი ნიუანსი და შინაარსით გაუტოლდნენ ზმნისართებს: **ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ, უადრესად** და ა. შ. ამ შინაარსით მათი გამოყენება ყოველთვის მოხერხებული არ არის, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც დაგვიდასტურებს:

აუტანლად მინდა ხოლმე მაშინ იქ ყოფნა („მნათ.“); გიორგის საშინლად მოუხდა აბაშაში თავის კონინდიან ეზოში ფეხშიშველა გავლა („ციხე.“); მუზეუმში ახალგაზრდა ქალმა დავგათვალისწინებინა. **ხაოცრად** გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ქართველები ვიყავით („ხოფლ. ცხოვრ.“); ბადურთ ამ პატივისცემას ყოველთვის **სასტიკად** უარობდა („ციხე.“); **სასტიკად** ირღვევა ფულადი, აგრეთვე საკასო დისციპლინა („ხოფლ. ცხოვრ.“); დალიმ ნამცხვარი გაციცქნა, **სასტიკად** არ მოეწონა („ციხე.“).

დასახელებული შესიტყვებები უნდა გასწორდეს ასე: ძალიან მინდა, ძალიან მოუნდა, ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ გაუხარდა, მეტისმეტად უარობდა, ძალიან ირღვევა, ძალიან, მეტისმეტად არ მოეწონა.

16. აზრობრივად გაუმართლებელ სინტაგმათა ერთ წყებას ქმნის მოქმედებით ბრუნვაში მდგარი ვითარების გარემოებაც. მაგალითად:

ნამდვილ ძეს არ შეუყვარდება ჩვენი თვისება ისე, გამძაფრებით, როგორც განსვენებულს უყვარდა („ცისკ.“).

გამძაფრებით შეუყვარდება იმავე რიგის შესიტყვებაა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. უნდა ენმარათ ძლიერ, ძალიან, მეტისმეტად... შეუყვარდება. გამძაფრებით ზმნისართისათვის კი ბუნებრივი კონტექსტი იქნებოდა, მაგალითად, მტერს უბევენ გამძაფრებით.

17. ზოგჯერ უადგილოდ არის გამოყენებული, აგრეთვე, ზმნისართი გადაჭრით:

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ტელეფონების მუშაობა („კომ.“); ამჟამად მიმდინარეობს ნოთახიანი ბინის მშენებლობა, რაც გადაჭრით უნდა დაჩქარდეს („ახ. ცხოვრ.“).

გადაჭრით არც გაუმჯობესება შეიძლება და არც დაჩქარება. გადაჭრით შეიძლება უარყოფა (გადაჭრით უარყვეს). გაუმჯობესებას განმსაზღვრელად შეეფერებოდა საგრძნობლად, მნიშვნელოვნად, არსებითად, შესამჩნევად..., ხოლო დაჩქარებას კი — აუცილებლად ან მნიშვნელოვნად... ზმნიზედები.

თანამედროვე ქართულში გავრცელებულია მყარი გამოთქმა ხაზს უსვამს, რაც ნიშნავს: ყურადღებას ამახვილებს რამეზე, საგანგებოდ აღნიშნავს რასმე. ამ ფრაზეოლოგიზმთანაც გაუმართლებელია გადაჭრით ზმნისართის დაკავშირება. ნიმუშად:

დისკუსიის მონაწილეებმა გადაჭრით ხაზი გაუსვეს („თბილ.“).

არ შეიძლება, აგრეთვე, აღნიშნული მყარი გამოთქმისგან მიღებული ზმნისართის (ხაზგასმით) გამოყენება ზმნასთან დავრწმუნდით, რადგან ზმნისართის მნიშვნელობა (საგანგებოდ, მკაფიოდ, ყურადღების გამახვილებით) ვერ დაახასიათებს ზმნით აღნიშნულ მოქმედებას. მაგალითი:

ამის შემდეგ კიდევ უფრო ხაზგასმით დავრწმუნდით, როგორ პყვარებია [მას] ჩვენი ხალხი, საქართველო („თბილ.“).

18. ზმნისართი დაბეჭითებით ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის ზოგიერთ ზმნასთან: დაბეჭითებით იცის, დაბეჭითებით ითხოვს, დაბეჭითებით ამტკიცებს და მისთ. მისი მნიშვნელობებია: დანამდვილებით, მტკიცედ, დარწმუნებით. ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში კი მისი ხმარება უადგილოა:

ამიტომ ჩვენ დაბეჭითებით უიბრძვეთ ფაბრიკის მარკის ღირებუბისათვის („აზ. კომ.“).

19. ამტკიცებს (დაამტკიცა) ზმნასთან სრულიად ბუნებრივია ნათლად ზმნისართის გამოყენება, მაგრამ ამავე ფუძიდან ნაწარმოები სხვა სახელი, თუნდაც მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, ამ შემთხვევაში აღარ გამოდგება. მაგალითად:

გასაოცარი სინათლით დაამტკიცა („ცისკ.“).

20. სიდიადე აბსტრაქტული სახელია, ნიშნავს დიადის თვისებას, — დიადობას, დიდებულებას, ბუმბერაზობას. ამ სიტყვას ვითარების გარემოებად სალიტერატურო ქართულში საერთოდ არ ვხვდებით. პრესის ენაში კი იგი ამ ფუნქციით დასტურდება:

ახლა ეახსილებასში სიდიადით იხსენიებენ ტრაქტორს და ტრაქტორისტებს („ლენ. გზით“).

მართებული სინტაგმები იქნებოდა დიდებით, პატივისცემით, მადლობით, კმაყოფილებით... იხსენიებენ.

21. ორ ერთნაირ შემასმენელთან, რომელთაგან ერთ-ერთს უარყოფითი ნაწილაკი ახლავს (ეხამება და არ ეხამება), სხვადასხვა ვითარების გარემოების შეწყობაა საჭირო: სავსებით ეხამება, მაგრამ სრულიად არ ეხამება. ქართულის ბუნების შესაფერი არ არის სრულიად ეხამება ან სავსებით არ ეხამება, მაგრამ ასეთი რამ პრესის ენაში დასტურდება:

ტექნიკი ბევრგან შეცვლილი იყო, სავსევებით არ ეხამებოდა ოპერის სიუჟეტს („ლიტ. ხაქ“).

22. გვხვდება ასეთი წინადადება:

მსმენლებმა საფუძვლიანი ცოდნით ისაუბრეს ადამიანთა ერთობის ფორმების წარმოების წესზე („წინსვლა“).

ამკარაა, რომ ცოდნით ისაუბრეს შეუფერებელი სიტყვათშეხამებაა, აქტორს უნდოდა, ალბათ, აღენიშნა მოსაუბრეთა ცოდნის მაღალი დონე. ამიტომ წინადადება სხვაგვარად უნდა აგებულიყო.

23. სხვაგვარად უნდა აგებულყო ქვემოთ მოყვანილი წინადადება:

თითქმის ყველა მაღაზიაში „ბორჯომს“, ლიმონთსა და ლუდს ზშირად უჭაქოდ, ადგილზე და ლევით ყიდიან („თბილ.“).

გაყიდვა შეიძლება ნისიად, ბითუმად, იაფად, ძვირად... დაღვეთ გაყიდვა კი უაზრო შესიტყვებაა.

24. „ლიტერატურულ საქართველოში“ ვკითხულობთ:

კომისარი ამბობდა იმას, რაც სწამდა. ამიტომაც ბუნებრივია, ჩვენც გვეჩრდოდა მისი მართალი სიტყვისა, მასთან ერთად ნდობით გაედიოდა ით ბრძოლის ველზე.

ვინმესთან ერთად ნდობით ვასვლა ბრძოლის ველზე — მოულოდნელი სიტყვათშეხამებაა. შეიძლებოდა მრავალ სინონიმთაგან სხვა უკეთესის არჩევა: **გავდიოდით მასზე მიწოდებით, რწმენით აღვხილნი, დაჭერებულნი, დამშვიდებულნი, იმედიანნი.**

25. დიალექტური წარმოშობის კომპოზიტი **პანტაპუნტით** სალიტერატურო ენაშიც იხმარება და მასთან დაკავშირებული შემასმენელი უმთავრესად **ცგენა** ფუძის შემცველია (**პანტაპუნტით ცვივა**). ამიტომ არის, რომ ქვემოთ მოყვანილი შესიტყვება არაბუნებრივად ედერს:

ისინიც... მანქანიდან **პანტაპუნტით** გადმოლაგდნენ („მნათ.“).

26. **აღმავლობა** ნიშნავს ძლიერ ზრდას, წინსვლას, განვითარებას. ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნისართი არ გამოდგება ჭადრაკის კარგი თამაშის დასახასიათებლად. გაზეთ „თბილისში“ შეგვხვდა შემდეგი წინადადება:

მე-12 ტურში **აღმავლობით** ითამაშა ასპარეზობის ლიდერმა ნ. ვაფრინდაშვილმა.

მართებული იქნებოდა ეთქვათ **წარმატებით ითამაშა** ან **კარგად ითამაშა**.

27. არ ვარგა ხაზგასმული სინტაგმა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაშიც:

ისანი **გაგებით** მოეკიდნენ საფრთხეს („თბილ.“).

სწორი იქნებოდა: **შეგნებით, შეგნებულად.**

IV. შესიტყვების შინაარსის თვალსაზრისით უმართებულოა არაერთი ისეთი სინტაგმაც, რომელშიც ე. წ. პირშიუმართავი დამატება მონაწილეობს.

1. გვაქვს ასეთი წინადადებები:

დაგვემვის დღევანდელი პრაქტიკა მოითხოვს სახალხო მეურნეობის დაგვემვის ერთიან სისტემაში დარგობრივი გვემვის როლისა და მნიშვნელობის ამ აღლებას („საქ. სახ. მეურნ.“); ეკონომიკის ხელმძღვანელობისა და დაგვემვის ფორმები და მეთოდები უნდა... ხელს უწყობდნენ... წარმოების შედეგებით სწარმოთა და მათ მუშაკთა და ინტერესების ამ აღლებას (იქვე).

უკვე იყო ნათქვამი, რომ თანამედროვე ქართულში ზოგმა სიტყვამ და, მათ შორის, ზედსართავმა სახელმა **მაღალი** ძალიან გაითვართოვა მოხმარების არე, რასაც არასასურველი შედეგი მოჰყვა, იგი ლექსიკურ შტამბად იქცა, ხოლო უციღურეს შემთხვევაში დასცილდა თავის ძირითად მნიშვნელობას. დასახელებული მაგალითებიც სწორედ ამ რიგისაა. არც **როლის**, არც **მნიშვნელობისა** და არც, მით უმეტეს, **დაინტერესების ამ აღლება** არ შეიძლება, შეიძლება მათი **გაზრდა**.

2. უაზრო სინტაგმთა მღელვარების გაქანება:

1968 წელს რასობრივი მღელვარების გაქანება ნაკლები არ იქნება („თბილ.“).

რასობრივი მღელვარება შეიძლება **გაიზარდოს**, **გაძლიერდეს**. **გაქანება** აქ ყოვლად შეუფერებელი სიტყვაა.

3. ასევე არ შეიძლება **მეთოდის დაოსტატება**, როგორც ერთი წერილის ავტორი გვთავაზობს:

... სტუდენტი შეიარაღებული უნდა იყოს... იმ ლინგვისტური ცოდნის მარაგითაც, რომელიც ხელს შეუწყობს... მისი, როგორც მომავალი პედაგოგის, მეთოდის დაოსტატებას („უი სკოლაში“).

დაოსტატება შეიძლება თვით **პედაგოგისა**, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — **მეთოდისა**.

4. ქვემოთ მოყვანილ წინადადებაშიც ქართულისათვის შეუფერებელი ტრაზა გვაქვს:

... ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში მოეწყოს ეკონომიკისა და ყაიროთიანობის დათვალთვრება („თბილ.“).

ეკონომიისა და უაირათიანობის დათვალიერება აზრობრივად ყოველად გაუმართლებელია. მართებულია: **ეკონომიის, უაირათიანობის დაცვის დათვალიერება.**

5. ქართულისათვის ჩვეულებრივია გამოთქმები: **ამოცანას ამოხსნის, ამოცანას გადაწყვეტს, ამოცანას დაძლევს.** შესრულება ამოცანა სიტყვისათვის შეუფერებელი მეწყვილეა.

გადაწყვეტ შეხვედრაში... საბჭოთა კლასთურთელმა შემღეს რთული ამოცანის შესრულება („კომ.“).

6. უმართებულოდაა ნახპარი სახელწმინა **აღმოცენება დაწყების** ნაცვლად შემდეგ წინადადებაში:

თავის ტკივილის აღმოცენება, გავრცელება, ხასიათი, ხანგრძლივობა, ჩაქრობა თუ თანდათან გაძლიერება განსხვავებულია ერთმანეთისაგან სხვადასხვა პათოლოგიურ მდგომარეობათა დროს („სოფლ. ცხოვრ.“).

მართალია, **აღმოცენება**, ზოგჯერ გადატანით გაჩენის, წარმოშობის მნიშვნელობითაც იხმარება, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მისი გამოყენება არ შეიძლება.

7. **უნარ-ჩვევები** აღამიანმა შეიძლება გამოიმუშაოს, ჩამოყალიბება ამ სახელისათვის შეუფერებელი მეწყვილეა.

საქიროთა ზებირმეტყველების, კოხვისა და წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება („უე სკოლაში“).

8. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია შესიტყვება **წესად მივიღოთ**, გაზეთში კი იგი უმართებულოდ შეუცვლიათ:

უნდა მივიჩნიოთ წესად, რომ, როცა ჩვენ თვალწინ ხდება დანაშაული, საქიროთა ჩავერიოთ („გამარჯვ. დროში“).

9. მიუხედავად იმისა, რომ ზმნები **გახდა** და **იქცა** სინონიმური შინაარსისაა, მათი მონაცვლეობა ყველა შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული, რადგან თითოეულ მათგანს ენობრივი ტრადიციით უკვე დამკვიდრებული აქვს ადგილი ამა თუ იმ სიტყვასთან. ქვემოთ მოყვანილი წინადადება ამგვარი აღრევის ნიმუშია:

წესად გახდა, რომ მორიგ კრებაზე მოსმინონ ინფორმაცია („სოფლ. ცხოვრ.“).

მართებული შესიტყვება იქნებოდა წესად იქცა.

ამავე რიგისაა უზერხული შესიტყვება ტრადიცია გახდა წინადადებაში:

თბილისში ტრადიცია გახდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენების მოწყობა („ახ. კომ.“).

აქ ორგვარი უზუსტობაა: პირველ ყოვლისა, სახელი (ტრადიცია) ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად დგას სახელობით ბრუნვაში. რამაც, ალბათ, თავისთავად შეუწყო ხელი ზმნის უმართებულოდ შეცვლასაც (სახელობითთან იქცა ზმნას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვიხმართ). ამის შედეგად ნაცვლად მართებული შესიტყვებისა ტრადიციად იქცა, მივიღეთ უმართებულო — ტრადიცია გახდა.

10. გვაქვს ასეთი წინადადება:

ქანცგამოცლილი ლენინგრაძელი დონორი ქალები თავის სისხლს აძლევდნენ მებრძოლებს, რათა სიკვდილისაგან გადაეჩინათ ისინი („წინსვლა“).

უზერხულობას იწვევს ხაზგასმული სიტყვათშეხამება. უფრო ბუნებრივია სიკვდილისაგან ეხსნათ.

V. ენობრივი დარღვევები ხშირია ისეთ სიტყვათშეხამებებშიც, რომლებიც მიღებულია ზმნისა და სახელების (პირშიმართი დამატებების) მონაწილეობით. ამ შემთხვევებში ზოგჯერ საჭირო ზმნის ნაცვლად გამოყენებულია სულ სხვა მნიშვნელობის მქონე ზმნა, ზოგან კი უმართებულოდ შერჩეული სახელია შესაცვლელი.

1. თანამედროვე პუბლიცისტიკისა და განსაკუთრებით პრესის ენაში ამ ბოლო დროს შეიმჩნევა ერთი რიგის სიტყვების მოჭარბება. ესენია რაღაცის (დონის, წარმოების, პროდუქტულობას და მისთ.) ამალუბასთან დაკავშირებული ცნებების გამომხატველი სიტყვები: იზრდება, დიდდება, მაღლდება, მდიდრდება, მრავლდება, ძლიერდება, უმჯობესდება და ა. შ. მაგრამ ხშირად ხმარების გამო მათი ძირითადი მნიშვნელობა ზოგჯერ ცვდება და ისინი ერთმანეთშიც კი ირევა: სადაც ერთია საჭირო, იქ მეორე იხმარება და პირიქით. მაგალითად, გვაქვს ასეთი წინადადებები:

ისინი... კვლავ იმდიდრებენ ცეკვის ცოდნის დონეს („გამარჯვ. დრო-შა“); მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების დონე (იქვე).

საჭირო იყო გვეხმარა ზმნები **იმაღლებენ, ამაღლდა**, რადგან დონის ცნება სიმაღლესთანაა დაკავშირებული და მისი ან **ამაღლება** შესაძლებელი ან **დაქვეითება**, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — **გამდიდრება** ან **გაუმჯობესება**.

ქვემოთ დამოწმებულ წინადადებაში უადგილოდაა ნახმარი სწორედ **ამაღლება** ზმნა. მის მაგიერ უნდა ყოფილიყო **გაიზრდება**:

... კიდევ უფრო **ამაღლება** მოსახლეობის **მოთხოვნა** მოხმარების საგნებზე („საქ. სახ. მეურნ.“).

გაიზრდება ზმნა უფრო შეეფერებოდა, აკრეთვე, **გადიდების** ნაცვლად შემდეგ წინადადებას:

1972 წელს საფრანგეთის **მოსახლეობა** 430 ათასი კაცით **გადიდდა** („იხგ სკოლაში“); გენერალი... **მოითხოვს**, რომ ამერიკის ჯარების რიცხვი ამ ქვეყანაში **მომაველ წელს გააღიდა** („თბილ.“); **გადიდდება** თვითმფრინავების რიცხვი („საქ. ავიატ.“).

ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში მოუხერხებელ სინტაგმებს ქმნის **ამრავლებს** (გაამრავლებს) ზმნა.

მათ მოაგონეს მოსწავლეებს მამებისა და პაპების საჭმრო საქმეები და მოუწოდეს... **ამრავლონ** ჩვენი საშობლოს ძლიერება („ახ. ცხოვრ.“); მათი შრომა **ამრავლებს** საბჭოთა კავშირის ძლიერებას („საქ. ავიატ.“); კომკავშირელთა დღევანდელ თაობას მოეუწოდებ კვლავაც სახელოვნად **ამრავლონ** მამათა საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციება („ახ. კომ.“); **გამრავლოთ** ასეთი ტრადიციები, ძველი, დროშოჭმული, მანე უკან დაიხვეს („თბილ.“); **გაამრავლონ** მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციები („საქ. ავიატ.“); მისი მიზანია მომავალშიუ კეთილად ემსახუროს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს და **ამრავლოს** გეგმა-შეისრულებებიც („ალაზნ. განთ.“); იგი ღირსეულად **ამრავლებს** თავისი მამის — მაიორ მ. ანანძის დიდებას („კომ.“).

მოყვანილ წინადადებებში ზმნა **ამრავლებს** ყველგან უადგილოდ არის ნახმარი, აზრობრივად და მნიშვნელობის მხრივ ვერ ეგუება მასთან დაკავშირებულ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სწორი სინტაქსური კავშირია.

ცხადია, რომ არც **ძლიერების**, არც **ტრადიციების**, არც **გეგმა-შეისრულებებისა** და არც, მით უმეტეს, **დიდების** გამრავლებაზე ანუ რაოდენობრივ ზრდაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აღნიშნულ შემთხვევებში ყველგან ან ზმნა უნდა შეიცვალოს სინტაგმაში უფრო შესაფერი ზმნით, ანდა, სადაც ეს ვერ მოხერხდება, სხვაგვარად აიგოს.

ფრაზა. სახელდობრ: **ძლიერება** შეიძლება **განვამტკიცოთ**; **ტრადიციები**, რადგან ესაა ისტორიულად უკვე ჩამოკალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები და ყოფაქცევის ნორმები, შეიძლება **დავიცვათ**, **გავაგრძელოთ**, **განვამტკიცოთ**; **გეგმა-შესრულებებთან** მხოლოდ ზმნის შეცვლა საქმეს ვერ უშველის, წინადადება უნდა გაიმართოს სხვაგვარად, მაგალითად, ასე: მისი მიზანია... მუდამ **დროულად შეასრულოს გეგმა**; რაც შეეხება ბოლო წინადადებას, აქ ყოვლად უჩვეულო სიტყვათშეხამების გამო აზრის გაგება თითქოს ჭირს. ალბათ, ავტორს უნდოდა ეთქვა: შეილი მამის მსგავსად **ღირსეულად იმსახურებს დიდებას**, ან შეილი **ღირსეულად აგრძელებს მამის გმირულ საქმეებს**. მაგრამ სინტაგმაში სიტყვათა ცუდად შერჩევის გამო ეს მშვენიერი აზრი წინადადებაში გაბუნღოვანებულია. ამ შემთხვევაში არ არის გამოსარიცხავი, რომ აქ გვაქვს რუსული **приумножает славу отца**-ს უხეირო კალკირების ნიმიში.

ძლიერდება (გააძლიერებს) ზმნასთან უხერხული სიტყვათშეხამების შემთხვევებია:

გ ა ა ძ ლ ი ე რ თ ნ პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-კვება (იგამარჯვება); სამუშაო დღითიდლე ძლიერდება, სულ უნდა დაამყნონ მილიონ ასი ათასი ცალი ნერგი (კ.ახ. ცხოვრ.); კოლმეურნეობებში დღითიდლე ძლიერდება... წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი (კომ.).

მოვლა-კვებას, ალბათ, გაუმჯობესება უფრო შეეფერებოდა, ე. ი. გააუმჯობესონ პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-კვება; არც სამუშაოს გაძლიერებაა მარჯვე გამოთქმა. აქ, ჩანს, სამუშაოს ინტენსიურად წარმართვაზეა ლაპარაკი და აჯობებდა ყოფილიყო: **სამუშაო დღითიდლე ინტენსიური ხდება**; რაც შეეხება რემონტს, მასთან ძლიერდება ზმნის ჩმარება საერთოდ გაუგებრობაა. ძლიერდება რემონტი, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებში უფრო ინტენსიურად და ენერგიულად არემონტებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

ამა თუ იმ სახელისათვის უჩვეულო ან შეუფერებელი ზმნის ჩმარების გამო თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით უხერხული შესიტყვებები გვაქვს სხვა შემთხვევებშიც.

2. უკანასკნელ ხანს მეტად გაიფართოვა მოხმარების არე ზმნამ უწევს. იგი ამა თუ იმ სახელთან ქმნის არაერთ ფიგურალურ თუ მყარ გამოთქმას, რომელშიც მისი თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობა (გასწევს მისას ან მისთვის) მიჩქმალულია და ზოგჯერ იქამდე, რომ მას საერთოდ დაკარგული აქვს მნიშვნელობა და დამხმარე

ზმნად არის ქცეული, სემანტიკური ფუნქცია კი მთლიანად მის თან-
მხლებ სახელს ეკისრება. ასეთებია: წინააღმდეგობას უწევს (=ეწი-
ნააღმდეგება), ქიშპობას უწევს (=ექიშპება), კონტროლს უწევს
(=აკონტროლებს), დახმარებას უწევს (=ეხმარება) და სხვ. მაგრამ
მიუხედავად ამისა, მისი გამოყენება ასეთ შემთხვევებშიც შეზღუ-
დულია და განურჩევლად ყველა სახელთან არ შეიძლება ვიხმაროთ.
ამ რიგის დარღვევები პრესის ენაში ხშირია.

(იხიან) ორგანიზაციას უწევენ სასწავლო ჯგუფების მთელ მუშაო-
ბას („გამარჯვ. დროში“); „პროტესტის კვირეულის“ (მონაწილეები)... სამი დღის
განმელობაში ბოიკოტს უწევდნენ ამ პუნქტს („კომ.“).

ორგანიზაცია რაიმეს სისტემაში მოყვანა, ნოწესრიგება, მოწყო-
ბაა. ამიტომ მასთან ბუნებრივი იქნებოდა ზმნა ახდენენ, ე. ი. რა-
ღაცის სისტემაში მოყვანას ახდენენ, ანუ სისტემაში მოპყავთ, აწეს-
რიგებენ. უწევენ ზმნა კი აქ ყოვლად შეუფერებელია; მისი გამოყე-
ნება მსგავს სიტუაციაში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სიტყვას-
თან ხელმძღვანელობა. ე. ი. ან მუშაობის ორგანიზაციას ახდენენ ან
ხელმძღვანელობას უწევენ მუშაობას. ორგანიზაციას უწევენ შეუ-
ფერებელი სინტაგმაა.

ასევე შეუფერებელია ბოიკოტს უწევდნენ. ინგლისურ სიტყ-
ვასთან ბოიკოტი, რომელიც ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვე-
ტას, სრულ უგულვებელყოფას ნიშნავს, ქართულში იმთავითვე დამ-
კვიდრდა ზმნა უცხადებენ, უწევენ აქ შეცდომით არის გამოყენე-
ბული, უნდა ყოფილიყო ბოიკოტს უცხადებდნენ.

3. ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება ზმნა იწვევს (გამოიწვია)
ისეთ სახელთან, რომელიც სხვა სიტყვასთან ქართულისათვის უფ-
რო ბუნებრივ სინტაგმას შექმნიდა. მაგალითად:

კლიმატური პირობები გარკვეულ გაძღვენას იწვევს როგორც მცე-
ნარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზეც („საქ. ბუნ.“); [კომეტამ] სპეციალისტ-
თა მოწონება გამოიწვია („სამშ.“); ... დადგინოლებამ... დიდი მოწო-
ნება გამოიწვია („კომ.“).

სახელი გავლენა გულისხმობს ატყობებელ ზემოქმედებას, ვი-
სიმე (ან რისამე) მოქმედებას ვინმეზე ან რამეზე და ამიტომ მის-
თვის ჩვეულებრივი და შესაფერია ზმნა ახდენს (მოახდენს) და არა
იწვევს. ამის გამო ზემოთ მოყვანილი მაგალითი ასე უნდა გასწო-
დეს: „კლიმატური პირობები გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც
მცენარეულ საფარზე, ისე ნიადაგის საფარზეც“.

რაც შეეხება **მოწონებას**, აქ იგი რისამე დადებითად შეფასების, შექების მნიშვნელობით არის ნახმარი და, რადგან იგი ჩვეულებრივი გრძნობა კი არ არის ზიზღის, სიბრაღის, უსიამოვნებისა და სხვათა მსგავსი, არამედ შედეგია, შეფასებაა რაღაც მოვლენისა, მისი მხოლოდ **დამსახურება** შეიძლება ისევე, როგორც ქებისა, პატივისცემისა, ნდობისა და არა **გამოწვევა**. ამდენად, მართებული სიტყვათშეხამება იქნებოდა **მოწონება დაიშახურა**.

4. ზმნა **უძღვის** თანამედროვე ქართულში ნიშნავს: ძღვნად აძლევს, უბოძებს, აჩუქებს. ამ ზმნისგან ნაწარმოები სხვა ფორმების პირდაპირი მნიშვნელობაც უკავშირდება ჩუქების ან ბოძებას. მიძღვნა შეიძლება საჩუქრისა, ნაწარმოებისა, სხდომისა (რისამე აღსანიშნავად) და ა. შ. უკანასკნელ ხანს ამ ზმნამ გაითართოვა მოხმარების არე და ისეთ სიტყვებს დაუკავშირდა, რომელთა მიერ აღნიშნული საგნების ჩუქება შეუძლებელია. ამის შედეგად მივიღეთ გამოთქმები: **ქება-დიდებას უძღვის, მადლობას უძღვის, ხალამს უძღვის**. მაგალითად: „ნაწილის ხელმძღვანელობა უღრმეს მადლობას გიძღვნიოთ ასეთი შვილის აღზრდისათვის“ („გამარჯვ.“).

ცხადია, ამგვარ შემთხვევებში **უძღვნა** და მისთ. ზმნებს დაკარგული აქვთ მათი პირვანდელი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან. ამგვარი გამოთქმები თავიანთი შინაარსობრივი დაუხვეწელობის მიუხედავად დღეს ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივ გამოთქმებად ითვლება. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვიოთ ზოგ შემთხვევაზე, როცა ეს ზმნა სრულიად უადგილოდ არის მოხმარებული. მაგალითად:

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გაზეთები კომენტარს უძღვნიან... ვიზიტის შედეგებს (სკომ.“).

ბუნებრივი ქართული იქნებოდა **კომენტარს უყეთებენ**.

5. უქონლობის აღმნიშვნელი ზედსართავი საბელი **უმართებულ** ნიშნავს: რაც მართებული არ არის, — არამართებული, არასწორი, ურიგო, უწესო. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება სხვა, აგრეთვე უქონლობის ზედსართავი საბელი **უსამართლო**, რომელიც ნიშნავს სამართლიანობას მოკლებულს, უკანონოს.

ცხადია, ფორმითა და სემანტიკით განსხვავებული ეს ორი ზედსართავი საბელი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. პრესის ენაში ისინი ზოგჯერ უმართებულოდ ერევათ და ვიღებთ მცდარ სიტყვათშეხამებას. ამის ნიმუშია:

ბედი ასეთ შემთხვევაში უციღურესად უმართებულოა („თბილ.“).

უნდა იყოს ბედი უსამართლოა, რადგან, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ ბედის სწორედ უსამართლობაზე, უკანონობაზე და არა უსწორობაზე.

6. გვაქვს წინადადება:

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი თანდათანობით ძალას იკრებს და მთავარ საზრუნავს უყენებს გაგრძელ შეტყუებას („საქ. ბუნ.“).

აქაც ზმნა საზრუნავ სახელთან უჩვეულო სინტაქსის ქმნის. უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეთქვა: საზრუნავს უქმნის, საზრუნავს უჩენს.

7. სპორტული, სათამაშო მინდვრებისა შეიძლება გამოყოფა, დათმობა, მოწყობა, მაგრამ აშენება მინდვრისა უხერხულო და მედარი შესიტყვება:

საგანგებოდ აუშენეს ბურთის სათამაშო მინდვრები („პიონ.“).

შენება ზმნა სემანტიკურად აუცილებლად რაიმე ნაგებობასთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ ლაპარაკობენ ხოლმე სპორტული მოედნების აშენებაზეც (იგულისხმება ამ მოედანზე სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი), მინდორი კი ამ რიგის სიტყვებს არ ეკუთვნის.

8. შეუფერებელ სიტყვათშეხამებას ქმნის აგრეთვე ზმნა აღმოცენდა:

მერე კი, როცა სპორტული მოედნები აღმოცენდა, მათი დარაზმვა გადაწყვიტა და ფეხბურთის სექციის ხელმძღვანელობა იყისრა („ილელო“).

მართალია, აღმოცენდება ზმნის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა გაჩნდება, წარმოიქმნება, წარმოიშობა, მაგრამ ამ შინაარსით მისი ხმარება ნებისმიერ სახელთან არ არის გამართლებული და, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიც აღსტურებს, გვაძლევს უხერხულ სინტაქსის. სწორი სიტყვათშეხამება იქნებოდა სპორტული მოედნები გაშენდა, მოეწყო.

9. ზმნა წააწყდა ნიშნავს: დაეჭაბა, მოულოდნელად შეხვდა. შეეჩება, გადაეყარა. მაგრამ ამ ზმნის მოხმარების არე შედარებით შეზღუდულია; აღნიშნული შინაარსითაც კი მისი გამოყენება ყოველთვის ბუნებრივ შესიტყვებას არ გვაძლევს. მაგალითად, ამბობენ: კვალს წააწყდა, დათვს წააწყდა, წინააღმდეგობას წააწყდა... მაგრამ თუნდაც მოულოდნელად შეხვედრის მნიშვნელობით ამ სიტყვის დაკავშირება მსაჯობასთან უხერხულია:

ჩვენი გუნდი პირველად წააწყდა ასეთ მსაჯობას („კომ.“).

აქ აჯობებდა გვეხმარა სხვა ზმნები: ნახა, შეხვდა, გახდა (გახდა, ასეთი მსაჯობის მოწმე).

10. ასევე შეზღუდულია ქართულში აითვისა ზმნის მოხმარება. მისი ძირითადი მნიშვნელობით (სავსებით, მთლიანად გამოიყენა, მოიხმარა) ის გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, სიტყვასთან თანხა: აითვისა... თანხა. შედარებით იშვიათად — სიტყვასთან ფართობი: აითვისა... ფართობი. ამ ზმნას სხვა მნიშვნელობაც აქვს — დაეუფლა. ბოლო დროს გახშირდა აღნიშნული ზმნის ხმარება დაეუფლას გაგებით, განსაკუთრებით, პრესის ენაში: აითვისა ტექნიკა, აითვისა მანქანის სერიული გამოშვება და მისთ., მაგრამ არ შეიძლება აითვისოს ვინმემ ქუჩა, ბაღი, სკვერი და მისთ. მაგ.:

ამ თანხით სხვა სამუშაოებთან ერთად, უნდა აითვისოს ათეულობით ასაღლი ქუჩა, ბაღი, სკვერი, გზის მაგისტრალები („საქ. ბუნ.“).

ცხადია, აქ ლაპარაკია ქუჩის, ბაღის... გაშენებაზე, კეთილმოწყობაზე. ამ უკანასკნელთა მონაცვლედ კი აითვისა ზმნა ვერ გამოდგება.

11. სწავლა შეიძლება ბევრი რამისა, მაგრამ არა პრაქტიკისა. ამ სიტყვასთან დაკავშირებული აზრის მართებულად გადმოსაცემად იხმარება ზმნა გადიან: პრაქტიკას გადიან. ჩვენს მაგალითში კი საჭირო ზმნის უმართებულო შეცვლა უაზრო შესიტყვებას ქმნის:

ასე სწავლობენ ადამიანები სოციალისტური მეურნეობრიობის პრაქტიკას („გამარჯვ. გზა“).

12. სინტაგმაში ზმნის უადგილოდ ხმარებას ზოგჯერ სრული უაზრობაც მოსდევს. ნიმუშად:

... მომდევნო კვირის ნამუშევარი კი ბევრად წინ გააჭირიბებს საწარმოო შედეგებებს („ახ. კომ.“).

ჯირით ფუძისგან ნაწარმოები ზმნების (ჯირითობა, ჯირითობს, გააჯირითა...) თავდაპირველი მნიშვნელობა იყო ცხენოსნური შეჯიბრება და იგი ცხენის ჭენებასთან იყო დაკავშირებული. ამ ზმნამ შემდეგ შეიცვალა თავისი პირვანდელი შინაარსი და საერთოდ ჭენების მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ მისი განურჩეველი გამოყენება გაუმართლებელია⁷. მით უფრო შეუფერებელია ეს ზმნა საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

⁷ ამის შესახებ იხილეთ: ბ. დოჩუა, კონტექსტი და მნიშვნელობა: ქართული სიტყვის ანალიზის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 34.

13. ზმნას **მიენიჭება** აქვს მიეცემა-ს მნიშვნელობა. მაგრამ ამ მნიშვნელობით მისი განუბრუნებლად ყველა სიტყვასთან გამოყენება თანამედროვე ქართულში გაუმართლებელია. ერთ-ერთი ასეთ სიტყვათაგანია არაბულიდან მომდინარე სახელი **შეღავათი**. მისი მონაწილეობით ქართულში დამკვიდრებულია ფიგურალური გამოთქმა **შეღავათი მიეცემა**. ამიტომ ქვემოთ მოყვანილი წინადადება ვერ ჩაითვლება კარგი ქართულის ნიმუშად:

ის კი უნდა ითქვას, რომ შემდგომ ბრძოლაში კუშნირს დიდი შეღავათი მიენიჭება („დროშა“).

14. არსებითი სახელი **ხმა** ქმნის რამდენიმე გავრცელებულ მყარ გამონათქვამს: **ხმა გავრცელდა**, **ხმა გავარდა**, **ხმა დაირხა**, **ხმა გამოვიდა**, **ხმა დადის...** მაგრამ არაერთარ შემთხვევაში — **ხმა წავიდა**, **წავიდოდა ხმები** დღევანდელი სალიტერატურო ენისათვის უმართებულო სიტყვათშეხამებაა:

და წავიდოდა ხმები, რომ სახელწიფო ორგანიზაციებში არაბატონსანი აღამიანები ზიან („კითხვ. მად.“).

15. ზმნა **დაიმსახურა** შეეფერება სახელებს: **ნდობა**, **პატივისცემა**, **სიუვარული...** (დაიმსახურა ნდობა, დაიმსახურა პატივისცემა...). სიტყვა **აღიარება** კი შეიწყობს ზმნას **მოიპოვა**. ამიტომ შესიტყვება **აღიარება დაიმსახურა** არაბუნებრივია.

გლისო ვირსალაძის ხელოვნებამ უკვე კარგა ხანია საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა („თბილ.“).

16. არსებითი სახელი **ნაყოფი** როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით იგულებს ზმნებს **გამოიღო**, **მოგვცა** (**ნაყოფი გამოიღო**, **ნაყოფი მოგვცა**); ხოლო **ნაყოფი მოიტანა** უმართებულო სიტყვათშეხამებაა:

ამან კარგი ნაყოფი მოიტანა („წინსვლა“).

ზმნა **მოიტანა** შეუფერებელია აგრეთვე სახელისათვის **შედეგები**. ამიტომ წინადადება — „ამ შეთანხმებებმა უკვე უაზროს მომავალში შეიძლება საგრძნობი შედეგები მოიტანონ“ („გამარჯვ. დროშა“) — უნდა შემდეგნაირად გასწორდეს: „ამ შეთანხმებებმა... შეიძლება საგრძნობი შედეგები გამოიღოს (მოგვცეს)“.

17. ასევე უმართებულოა შესიტყვება პოზიციები მოიპოვა:

მან უკვე მოწინავე პოზიციები მოიპოვა მსოფლიოში („დელო“).

პოზიციების დაკავებაზე ლაპარაკობენ, მოპოვება კი შეიძლება გამარჯვებისა, წარმატებისა და ა. შ.

18. გვაქვს წინადადება:

მიუხედავად უამინდობისა და შრომის უძნელესი პირობებისა, ეს შეჯახება ბუნების მრისხანე ძალებთან ღირსეულად მოიგეს („კომ.“).

სინტაგმა შეჯახება მოიგეს არ ვარგა, აქ ლაპარაკია ბუნების ძალებზე გამარჯვების შესახებ. ამიტომ უნდა ყოფილიყო: „... ამ შეჯახებისას ბუნების მრისხანე ძალებთან ღირსეულად გაიმარჯვეს“.

19. წინადადებაში — „ღიდ ინტერესს წარმოადგენდა თათბირზე მოსმენილი მოხსენებები ავტომატიკის კონტროლსა და კოსმოსურ სამყაროში მის განოყენებაზე“ („კომ.“) — უხერხული ჩანს ხაზგასმული სიტყვათშეხამება. წარმოადგენს აზრობრივად შეუფერებელია ინტერესისათვის. ამ კონტექსტში უნდა ყოფილიყო ინტერესს იწვევდა.

20. უხერხულად ეღერს აგრეთვე სინტაგმა ყურადღება მიიპყრო:

[შ. კობაძემ] ყურადღება მიიპყრო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ეფექტურ ღონისძიებათა გატარებაზე („გამარჯვ. გზა“).

ყურადღება-სთან მყარ გამოთქმებს ქმნის მიაქცია, გაამახვილა, დაუთმო ზმინები. მიპყრობა-სთან კი სინტაგმის წევრად, ჩვეულებრივ, გამოიყენება მზერა, თვალი, ყური. ზემოთ სწორედ ყურადღების მიქცევაზეა ლაპარაკი და არა თვალის ან ყურის მიპყრობაზე, ამიტომ უნდა ყოფილიყო: ყურადღება მიაქცია... გატარებას.

21. ქართულში არსებობს ორი სინონიმური ფიგურალური გამოთქმა: თავს ინუგეშებს და გულს (თავს) იმშვიდებს. ორივე შემთხვევაში შინაარსი გამჭვირვალეა და აზრი ნათელი. აღნიშნულ სინტაგმებში წევრების შენაცვლება ქართულისათვის არაბუნებრივ შესიტყვებას გვაძლევს. ამის ნიმუშია:

... გულს იმით ვინუგეშებ, რომ ამ შეჯიბრებათა რეკორდი მაინც მე შეკუთვნის („კომ.“).

უნდა იყოს: გულს იმით ვიმშვიდებ.

22. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია გამოთქმა წვლილი შეიტანა. ამ გამოთქმით რისამე გაკეთებაში მონაწილეობის მიღება აღინიშნება. აღნიშნულ სინტაგმაში ზმნის შეცვლა არ არის გამართლებული, პრესაში კი ასეთი შეცვლის ნიმუში დასტურდება:

ახალგაზრდობამ ღირსეული წვლილი დაიდო... გეგმის ვადამდე განაღდებაში („გამარჯვ. გზა“).

23. შეუფერებელი სინტაგმის ნიმუშია აგრეთვე არჩევანი შეარჩიეს, რომელიც ვაზეთ „თბილისში“ შეგვხვდა:⁶

როცა საქმე სემინარების ხელმძღვანელთა შერჩევაზე მიდგა, არჩევანი შეარჩიეს მთავარ ეკონომისტზე.

ნათელია, რომ უნდა ეხმარათ არჩევანი შეაჩერეს და არა შეარჩიეს.

24. მიმღეობა მოცემული შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად (მოცემულია) განსაკუთრებული აგებულებისა და სემანტიკის გამო თავისი ძირითადი მნიშვნელობით (=რაც მისცეს აქეთ მყოფს, მოკუთვნებულს, მონიჭებულს) არც თუ ისე ხშირად გამოიყენება ენაში⁷, მაგრამ ამ ბოლო დროს უმართებულოდ გაფართოვდა მისი გამოყენების არე და გვხვდება იქ, სადაც მისი ხმარება არაფრით არ არის გამართლებული. ამბობენ: მოცემულია ნაწარმოებში (მხატვრულში, მუსიკალურში), სტატიაში, ლექსში, მოთხრობაში..., სურათზე, ნახატზე, ფილმში... ამგვარი გამოთქმები იმდენად გავრცელდა, რომ შევეჩვიეთ და ზოგჯერ თითქოს აღარც გვეხამუშება, თუმცა ყველა ასეთ შემთხვევაში ენას მრავალი საშუალება აქვს აზრის უკეთ გადმოსაცემად: ნაწარმოებში ასახულია, აღწერილია, მოთხრობილია... სურათზე, ფილმში ნაჩვენებია და ა. შ.

აღნიშნული ზმნის უმართებულო ხმარების დამადასტურებელია, აგრეთვე, შემდეგი წინადადებები:

მიმართებაში მოცემულია საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების მკაფიო სურათი („საქ. ბუნ.“); შემდეგ ფილმში მოცემულია ივანე მესამის დროს აგებული კრემლის კედლები („ისჯ სკოლაში“); თეზისებს, რომელშიაც მოცემულია... (მისი) გმირული ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, გულდასმით ეცნობიან საწარმოს კომუნისტები („განთ.“ ვანი).

⁶ თუ, რა თქმა უნდა, კორექტურული შეცდომა არაა.

⁷ ხშირად გვხვდება მხოლოდ მათემატიკის ენაში.

რა თქმა უნდა, მიმართვაში სურათის მოცემა, ფილმში — კრემლის კედლებისა და თეზისებში — გზისა — აზრს მოკლებული ფრაზებია. ყველა შემთხვევაში მოცემულია უნდა შეიცვალოს კონტექსტისათვის უფრო შესაფერი ზმნით: მიმართვაში ნაჩვენებია, აღწერილია სურათი; ფილმში ნაჩვენებია კრემლის კედლები; თეზისებში ნაჩვენებია, აღწერილია გზა ან მოთხრობილია გზის შესახებ.

ამავე რიგის შეუსაბამობები დასტურდება სხვა ზმნების გამოყენების დროსაც. ნიმუშები:

წერილში განხილულია კულტურის სახლის თანამშრომელთა კრება („გამარჯვ. დროშა“); მასში ავტორი მოგვითხრობს ბარი იუსუპოვის ცხოვრების გზას („თბილ.“).

უნდა ეთქვათ: წერილში ლაპარაკია (საუბარია) კრების შესახებ, განხილულია კრების მიმდინარეობა; ავტორი მოგვითხრობს... ცხოვრების გზაზე, ... გზის შესახებ.

25. ენობრივი ლაფსუსები — გაუმართლებელი კალკები, შტამბები, კანცელარიზმები, არაფრისმთქმელი ფრაზები ხშირია სპორტულ მიმოხილვებში. მათ შორის ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ზმნასთან დაკავშირებულია მისთვის შინაარსობრივად შეუფერებელი სახელი. მაგალითად:

ხეალის ძლიერი დარტყმა მოხვდა ძელს („აღილო“); გაიხსენეთ თუნდაც მისი ყუმბარისებური დარტყმა, რომელიც ძელს მოხვდა (იქვე); კარგი კომბინაცია გაითამაშეს... დარტყმა აცდა კარს (იქვე); ხინჩავაშვილის დარტყმას გაჭირებით იღებს იაშინი (იქვე); უკვე პირველ რაუნდში მუჰამედ ალიმ ძლიერი დარტყმები დაუშინა მეტოქეს (იქვე); მხოლოდ 22-ე წუთზე გაქვეითა ერთი ბურთი („ახ. კომ.“).

ცხადია, რომ ძელს და ასევე კარსაც შეიძლება მოხვდეს ან ასცდეს ბურთი, რომელიც ძლიერად არის დარტყმული და არა თვით დარტყმა; ალებაც მხოლოდ ბურთისა შეიძლება და დარტყმა აქაც მის ნაცვლად უმართებულოდაა ნახმარი; მუჰამედ ალი ხელთათმანებიან მუშტებს დაუშენდა, ალბათ, მეტოქეს და არა დარტყმებს, ბოლო, რაც შეეხება ბოლო მაგალითს, გაქვითვა, როგორც ცნობილია, შეიძლება ანგარიშისა, ვალისა, მაგრამ არა ბურთისა. თუმცა, აქ, ჩანს, ავტორი ვარაუდობს ანგარიშის ერთი ბურთით შემცირებას, მაინც ეს წინადადება სხვაგვარად უნდა აგებულიყო.

26. თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია გამოთქმა **გულს აუძგერებს**, მაგრამ მოულოდნელი და უხერხულია **წადილის აძგერება**.

წადილი ნიშნავს სურვილს, ნდომას. მისგან მიღებულია ფიგურალური გამოთქმა **გულის წადილი**, რაც ნიშნავს გულში ამოჭრილ რისამე სურვილს, გულით ნდომას. როგორც ჩანს, ამ ფიგურალურ გამოთქმაში სიტყვა **გულის** მონაწილეობამ შეიყვანა შეცდომაში შემდეგი სტრიქონების ავტორი:

გამორულთა ლაშქრობას არა ერთხელ აუძგერებია მიხეილის წადილი („თბილ.“).

27. აშკარად დარღვეულია აზრობრივი კავშირი შემდეგ შესიტყვებაში:

გამოსყიდდა არასწორ საქციელს („საქ. ავტ.“).

გამოსყიდა ზმნას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი მნიშვნელობებიც: **გამოასწორებს**, **გამოაკეთებს**, **ზღავს**, **აანაზღაურებს**, **პატიებას დაიმსახურებს**. აღნიშნული მნიშვნელობით ეს ზმნა, ჩვეულებრივ, უკავშირდება უარყოფითი ნიუანსის შემცველ სიტყვებს, როგორცაა: **დანაშაული**, **შეცდომა**. მართალია, ზემოთ მოყვანილ წინადადებაშიც არასწორ საქციელზეა ლაპარაკი, მაგრამ **გამოსყიდდა** ზმნა მიანც შეუფერებელია მისთვის. დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით უფრო ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა: **საქციელის გამოსწორება**.

28. ყურადღება მიიქცია წინადადებაში:

დღემდე დუმილს იცავენ რისაბჟოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები („გამარჯვ. გზა“).

დაცვა შეიძლება **წესის**, **ადათის**, **დისციპლინის**, **სისუფთავის**, **ჩვეულების**. აგრეთვე ბუნებრივია გამოთქმა-მოწოდება **დაიცავით სიჩუმე**. ზემოთ მოყვანილი ფრაზა კარგი ნიმუშია იმგვარი შემთხვევებისა, როდესაც ორი სინონიმური სიტყვა სხვა რომელიმე სიტყვას ერთნაირ პირობებში ვერ დაუკავშირდება. არსებობს ენობრივი ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებები და მათ აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. განხილული ფრაზის ავტორმა, ჩანს, ვერ გაითვალისწინა სინონიმებისათვის (**დუმილი** — **სიჩუმე**) ტრადიციით

მიჩენილი ადგილი სხვადასხვა სინტაგმაში და ამან გამოიწვია უჩვეულო შესიტყვება.

სხვაგან დუმილის სინონიმი მდუმარება ქმნის აგრეთვე უხერხულ შესიტყვებას:

არა თუ შაშვი ივალბებს ჩვენს ტყეებში, მამალი ხობის ყივილიც გააუბრუებს მის მდუმარებას („ლიტ. საქ.“).

გაყრუება შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ კონკრეტულ სახელს. ბუნებრივია გამოთქმა: **გააყრუა არე-მარე, მინდორ-ველი**. რაც შეეხება მდუმარებას, არსებობს ფიგურალური გამოთქმა **დაარღვია ტყის მდუმარება**.

29. ზოგი ზმნა უმართებულოდ არის დაკავშირებული სახელთან **საკითხი**. მაგალითები:

ველა ეს საკითხი მომავლისათვის გამოსწორებას საქიროებს („საქ. ზუნ.“); ეს საკითხი წარმოიქმნა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა და ბუნებრივ სიმდიდრეზე მოთხოვნილების ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით (იქვე); გასული წლის ხოუმზერში გამოშვეან ფაბრიკაში მნიშვნელოვანი საკითხი წარმოიშვა („გამარჯვ.“).

საკითხი კი არ საქიროებს გამოსწორებას, არამედ **ნაკლი, შეცდომა...** საკითხისათვის უფრო გამოდგებოდა სიტყვები: **გადაწყვეტა, მოგვარება, გადაჭრა**, ე. ი. ან: **საკითხი გადაწყვეტს, გადაჭრას საქიროებს**, ან: **ნაკლი გამოსწორებას საქიროებს**. ხოლო მომდევნო წინადადებებში კი უნდა ყოფილიყო **საკითხი დადგა, საკითხი გაჩნდა ან საკითხი წამოიჭრა**.

30. ბოლო დროს პრესის ენაში გახშირდა აზრობრივად გაუმართლებელი შესიტყვება **იბეჭდება ავტორი (მწერალი, პოეტი...)**:

ახალგაზრდა ავტორები კი საქმიად იბეჭდებიან „ცისკრის“ ფურცლებზე („ახ. კომ.“); მას შემდეგ ახალგაზრდა პოეტი ქალი სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში („სოფლ. ცხოვრ.“).

ნათელია ამ სინტაგმათა უხერხულობა. **დაბეჭდვა** შეიძლება **წიგნის, სტატიის, ნაწარმოების, სურათის...** მაგრამ არა პიროვნებისა. ქართულში ამგვარი შესიტყვებების გაერცვლებას შეიძლება ხელი შეუწყოს თანამედროვე რუსული პრესის ენის გავლენამაც, სადაც ამგვარი გამოთქმები გვხვდება, მაგრამ არც იქ ითვლება კარგად გამართული რუსულის ნიმუშად.

31. გვაქვს წინადადება:

მთელი ოჯახი ამირებს **განაგრძოს განათლება** („გამარჯვ. დროში“).

მიუხედავად იმისა, რომ **განათლება** ზოგ შემთხვევაში სიტყვა **სწავლის** სინონიმადაც გვევლინება, მისი დაკავშირება **განაგრძოს** ზმნასთან ურვეულოა. ჩანს, ამას ხელი შეუწყო კომპოზიტ **სწავლა-განათლება**-ს არსებობამ, რომელიც ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის დასახელებულ ზმნასთან: ამირებს **განაგრძოს სწავლა-განათლება**.

სახელების — **სწავლისა** და **განათლების** აღრევის ნიმუშია, აგრეთვე, შესიტყვება **უმაღლესი სწავლა** ბუნებრივი **უმაღლესი განათლების** ნაცვლად:

დღეს სოფელი არაა, რომ **უმაღლეს სწავლით** რამდენიმე არ იყოს („საბჭ. ხაზართ.“).

32. ზოგჯერ იმგვარ ენობრივ დარღვევებს ეხვდებით პრესის ენაში, რომლებიც ერთი შეხედვით არც აღიქმება დარღვევად, თუმცა სწორი ენის თვალსაზრისით აშკარა უხერხულობას ქმნის:

თვალს **ესიამოვნა** კარგად მოვლილი და გახარებული **ნერგები** („საბჭ. ბუნ.“).

ესიამოვნა, გაუხარდა, ეწყინა და ამ რიგის ზმნები, ჩვეულებრივ, სინტაგმის ქმნიან საწყისებთან: **ესიამოვნა... მოხვლა; ეწყინა... წახვლა, გაუხარდა... შეხვედრა** და მისთ. ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **ესიამოვნა ნერგების ნახვა**.

33. წინადადებაში — „როცა გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობებს ააშენებს, ისევ უკან, ქალაქში გაბრუნდება“ („მნათ.“) — არეულია ერთმანეთში სიტყვები **მშენებლობა** და **შენობა**. **მშენებლობა** თვითონ ნიშნავს რისამე აგებას, აშენებას. ამიტომ მისი ამ კონტექსტში გამოყენება გაუშართლებელია. უნდა ყოფილიყო ან **მშენებლობას დაამთავრებს**, ან **შენობებს ააშენებს**.

ქვემდებარე-დამატებებით შედგენილი შესიტყვებების ერთ ნაწილში ენობრივი უმართებულობა გამოწვეულია ქართულში არსებული ორი, შინაარსობრივად მსგავსი გამოთქმის აღრევით.

34. მაგალითად, გვაქვს ასეთი წინადადება:

ბრძოლის ველზე სიკვდილი თავაწყვეტით იქნავს უღმობელ ცელს, იღვრება **ნორჩი სიცოცხლე** („მნათ.“).

შეიძლება ითქვას იღვრება სისხლი და ისპობა სიცოცხლე. იღვრება სიცოცხლე უაზრობაა. ავტორს, ჩანს, აზრის „ლამაზად“ გამოყენება სურდა, რისაც შედეგად ფრაზის დამახინჯება მოჰყვა.

35. სიტყვა დასკვნას შემასმენლად შეეფერება ზმნები: მიიღეს, გამოიტანეს... (დასკვნა მიიღეს, დასკვნა გამოიტანეს...). შიალწივს ზმნა კი სწორ შესიტყვებას ქმნის სახელთან შედეგი (შიალწივს შედეგს). ეს ორი გამოთქმა ზოგჯერ აღრეულია:

მეცნიერებმა დიდი ხნის ცდებისა და დაკვირვებების შედეგად შიალწივს დასკვნას („ლენინელი“).

36. ზმნა გადაედღა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გულთან, გულისპირთან, საყელოსთან (გული, გულისპირი, საყელო გადაედღა), შეცდომით დაკავშირებულია სახელთან საბანი, რის შედეგადაც მივიღეთ შეუფერებელი სინტაგმა: საბანი გადაედღა.

გელს საბანი გადაედღა („საშ.“).

საბანთან უნდა ეხმარათ გადაეხადა.

37. დღევანდელ ქართულ, განსაკუთრებით კი პრესის, ენაში ამ ბოლო დროს ხშირად იხმარება არსებითი სახელები: ღონისძიება და ზომები. მათ ზოგჯერ სინთონიმური შინაარსიც აქვთ. მაგრამ თითოეული მათგანი ბუნებრივ შესიტყვებას სხვადასხვა ზმნასთან ქმნის: ღონისძიება, ჩვეულებრივ, ეგუება შემასმენელს ატარებს (ატარებენ), ზომები კი — იღებს (იღებენ) შემასმენელს. ამიტომ სხვა ზმნებთან მათი გამოყენება ენისთვის უჩვეულო, შეუფერებელ სინტაგმებს ქმნის. მაგალითად:

მომავალში... მოზარდის მოსპობა-დაზიანების თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს საჭირო ზომები („საქ. ბუნ.“); მათ მიერ დაყენებულ საკითხებს იხილავენ პარტბიუროს სხდომებზე და საჭირო ზომებს ატარებენ („კოლმ.“); ამ საქმისათვის პასუხისმგებელმა ამხანაგებმა რატომ არ გაატარეს საჭირო ზომები ტარის დროულად დაბრუნებისათვის („თბილ.“); თუ უმოკლეს დროში არ განახორციელებენ მკაცრ ზომებს, ... სისტიკად დაისჯებიან (იქვე); ორგანიზაციები განახორციელებენ ყველა ზომებს... („ჭიათ. მაღ.“).

მართებული სინტაგმები იქნებოდა: მიიღონ ზომები, მიიღეს ზომები, იღებენ ზომებს.

38. ბოლო მაგალითებში ხმარებული ზმნა ახორციელებს, მართალია, ნიშნავს: სისრულეში მოჰყავს, ასრულებს, მაგრამ ქართულ-

ში იგი მხოლოდ გარკვეული რივის სიტყვებს უკავშირდება, როგორცაა: **მიზანი, იდეა, ჩანაფიქრი**. ეს ზმნა სხვაგანაც გვხვდება უადგილოდ. მაგალითად, სიტყვებთან: **გეგმა, ამოცანა, დავალება...**

მათ წარმატებით განახორციელეს გათვალისწინებული გეგმა (**საქ. ზუნ.**); ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს (**სოფლ. ცხოვრ.**); წარმატებით განვახორციელოთ სოფელზე მიცემული ყველა დავალება (**„განთ.“ ვანი**).

ყველა შემთხვევაში **განხორციელების** მაგიერ უნდა ყოფილიყო ზმნა **ასრულებს**.

ახორციელებს ზმნამ რომ ამ ბოლო დროს მეტად გაიფართოვა მოხმარების არე, იქიდანაც ჩანს, რომ იგი, აღნიშნულას გარდა, გვხვდება ისეთ შემთხვევებშიც, სადაც საერთოდ სულ სხვა ზმნა იყო მოსალოდნელი. მაგალითად:

ტყვეები ახორციელებენ ზეგავლენას არა მარტო თავის აღმონაცენის ფართობზე, არამედ გარემომცველ ფართო სივრცეზეც (**საქ. ზუნ.**); მათთან ერთად მეტად რთულ პირობებში ახორციელებენ თბილისის მეტროპოლიტენის მონუმენტურ ნაგებობას (**საქ. ქალი**).

პირველ შემთხვევაში უნდა ეხმარათ ზმნა **ახდენს (ზეგავლენას ახდენს)**, ხოლო ბოლო შემთხვევაში, როგორც ჩანს, **ნაგებობის შენებაზე** უნდა იყოს საუბარი.

39. სიტყვა **ღონისძიებასთან** უმართებულოდ განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ზმნა **ეწყობა**. მაგალითად:

ასეთი ღონისძიებანი მარტო შარშან ნოემბერ-დეკემბერში მოეწყო სამ საბჭოთა მეურნეობაში (**სოფლ. ცხოვრ.**); ამ დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის... მრავალ ღონისძიებას აწყობს (**„ლელო“**); მადლობას ვუხდის სკოლის დირექციას... ასეთი კარგი ღონისძიების მოწყობისათვის (**„განთ.“ ვანი**).

ყველგან უფრო მართებული იქნებოდა ეხმარათ ზმნა **ატარებს (ღონისძიებას ატარებს, ღონისძიებანი ჩატარდა...)**.

ასევე **ატარებს** ზმნა უნდა გამოეყენებინათ **მოეწყო-ს** ნაცვლად შემდეგ წინადადებებში:

ამ დღეებში ხუთივე ბიბლიოთეკაში მოეწყო აგიტატორები, სადაც გვიან დამემდეგ მორიგეობენ აგიტატორები, აწყობენ საუბრებს (**სოფლ. ცხოვრ.**); იგი საინტერესო საუბრებს აწყობს მექანიზატორებთან (**იქვე**);

ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საუბრებს აწვობენ მხედველი აგიტატორები (იქვე).

აქვე უნდა აღინიშნოს საერთოდ ეწყობა ზმნის გამოყენების შესახებ თანამედროვე ქართულში.

ეწყობა ზმნას ძირითადი მნიშვნელობების გარდა აქვს გადატანითი მნიშვნელობებიც. ერთი მათგანია: გვარდება, წესრიგი მყარდება... აი, სწორედ ამ მნიშვნელობით გაითვითვება აღნიშნულმა ზმნამ მოხმარების არე და ისეთ სახელებთანაც გვხვდება, სადაც სხვა ზმნის გამოყენება უფრო მართებული. ნიმუშები:

შრომელთა განკარგულებაში გადაეცა... სვერი, რომელშიც მოეწყობა უზი... („თბილ.“); პუშკინის სვერში 1936 წელს მოეწყობა შადრევანი („ლიტ. ხაზ.“); მოგვაწყობთ ახალ სადრეაჟო არხებს („კომ. ვანთ.“); კურორტ ბახმაროში მოეწყობა კაბიტალური საქურო და საუბნო ელექტრო-განათების მაგისტრალი... („სოფლ. ცხოვრ.“); თბილისში მოეწყობს მიწისქვეშა გადასასვლელიები („თბილ.“); მოეწყობა ტყე-ბაღები („ლიტ. ხაზ.“); მოეწყობა დიდი ქიშის საკითხების შემსწავლელი სკოლა („სოფლ. ცხოვრ.“); მოეწყობა 16 კაბიტალური ფარდული (იქვე); ეწყობა სიმინდის ფქვილის გამომუშავებისა და დაფარების საამქრო... („კომ.“).

უფრო მართებული იქნებოდა გამოყენებინათ ზმნები: აშენდა, გაშენდა, გაიყვანეს და მისთ.

40. წინადადებაში — „მან შეგვატყობინა დიდმნიშვნელოვანი ცნობები“ („კომ.“) — ცნობები უადგილოდ არის ნახმარი. ჩვეულებრივ, ამბობენ შეგვატყობინა ამბავი, ხოლო ცნობა-ს მოგვაწოდა ზმნა უფრო შეეფერება.

41. ზმნა გამახვილდება თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა იხმარება გადატანით და ნიშნავს: განწვევდება, გამძაფრდება, გაძლიერდება. მაგრამ ამ შინაარსითაც დღეს მისი დაკავშირება სახელებთან — სიყვარული და პატივისცემა არაბუნებრივი ჩანს. იგი ჩვეულებრივია ფიგურალურ თქმაში ყურადღების გამახვილება. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ამ ზმნის ნაცვლად უნდა ეხმარათ: გაიზრდება, გაძლიერდება:

აღსდგება წიგნის ჩუქებისა და მშითვად გატანების ტრადიცია, გამახვილდება წიგნის სიყვარული და პატივისცემა („ლიტ. ხაზ.“).

42. ყურადღება მიიქცია წინადადებაში:

...სოციალისტური საზოგადოების საქართველს რომ აგებდა, მულამ ფიქრობდა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაზე („ვანთ.“, ვანი).

საძირკველი, როგორც ჩანს, აქ შენობასთან, ნაგებობასთან არის გაიგივებული, რომლებთანაც ბუნებრივია აგება ზმნის დაკავშირება. საძირკველის შესახებ კი ამბობენ: საძირკველს უყრის, საძირკველს უდგამს...

43. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ხშირია აზრობრივად გამართული სინტაგმა **შეასრულა გეგმა**. მაგრამ ამ გამოთქმის ანალოგიით ზოგჯერ ზმნა **შეასრულა** უადგილოდაც არის ნახმარი. მაგალითად:

1974 წლის პირველ კვარტალში გეგმით უნდა შეესრულებოდა 700 ათასი მანეთის პროდუქცია („საქ. ბუნ.“).

პროდუქცია შეიძლებოდა გამოეშვათ, შეექმნათ, დაემზადებინათ.

44. პარადოქსულია, რომ სწორედ სპორტულ მიმობილებებში აღრეულია ორი, სრულიად ჩვეულებრივი სიტყვა: **მიღწევა** და **რეკორდი**.

ხუთბიდეში სსრ კავშირის რეკორდსმენმა ვ. ტიხომიროვამ... 100 მეტრზე თარჯბენში ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა („დღელი“); 13—14-წლიანებში საზოგადოების მიღწევა დაამყარა ვ. მაისურაძემ (იქვე).

მართალია, სახელი **მიღწევა** ნიშნავს მუშაობის დადებითს შედეგს, წარმატებას, მაგრამ მისი **დამყარება** არ შეიძლება, რადგან იგი არ არის უმაღლესი და ამ ეტაპზე მიღწეული ერთადერთი შედეგი. ამას ისიც მოწმობს, რომ ეს სახელი, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში იხმარება: **მიღწევებით ხვდება, აღაპარაკდნენ მიღწევებზე** და მისთ. ზემოთ დასახელებულ წინადადებებში ამჟამად ლაპარაკია სწორედ **რეკორდზე**, როგორც შეჯიბრების დროს მიღწეულ უმაღლეს და იმ მომენტში არსებულ ერთადერთ შედეგზე. ამიტომ ორივე შემთხვევაში სწორი სიტყვათშეხამება იქნებოდა **რეკორდი დაამყარა**.

45. გვაქვს ასეთი წინადადება:

ქუთაისის „ტორპედო“ .. აღმა-ათაში თამაშობდა და წარუმატებლობა განიცადა, წაგო შეხვედრა ანგარიშით 0:2 („სოფლ. ცხოვრ.“).

არსებითი სახელი **წარუმატებლობა** წიგნურია და, მართალია, იგი წარმატების უქონლობას ნიშნავს, მაგრამ სემანტიკურად არ უდრის დამარცხებას. შეიძლება ვინმეს წარმატება არ ჰქონდეს, მაგრამ დამარცხებულიც არ იყოს. ზმნა **განიცდის** კი მხოლოდ **დამარცხე-**

ბას შეიძლება დაუკავშირდეს. ეს დამკვიდრებულია ენობრივი ტრადიციით, რასაც, ალბათ, მისი სემანტიკაც უწყობს ხელს.

მოყვანილ მაგალითში, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მართლაც, დამარცხებაზეა ლაპარაკი და აქ **დამარცხება განიცადა** სწორედ ბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა, ხოლო თუ გუნდის წარუმატებლობა უნდა აღენიშნათ, მაშინ წინადადება ასე უნდა აგებულყო: „ქუთაისის „ტორპედო“ აღმა-ათაში წარუმატებლად ითამაშა და წააგო შეხვედრა ანგარიშით 0:2“.

46. ზმნა **ტოვებს** სხვადასხვა სახელთან დღევანდელ ქართულში რამდენიმე ფიგურალურ გამოთქმას ქმნის, რომელთაგან ერთ-ერთია **შთაბეჭდილებას ტოვებს**. მაგრამ ზოგჯერ ეს ზმნა დაკავშირებულია მისთვის სრულიად შეუფერებელ სახელთან, რის შედეგადაც უაზრო სიტყვათშეხამებას ვიღებთ:

მაღალი ტანის, ათლეტური აღნაგობის ქირურგი, მართლაც, შესანიშნავ იერს **ტოვებს** („კომ.“).

არსებითი სახელი **იერი** ასეა განმარტებული: სახის გამომეტყველება, შესახედაობა, გარეგნობა (ადამიანისა). ამიტომ **იერი** ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეეწყობა ზმნას **ტოვებს**; არ შეიძლება **იერის დატოვება** ისევე, როგორც უაზრობაა **სახის გამომეტყველების, შესახედაობის ან გარეგნობის დატოვება**. ამა თუ იმ იერმა შეიძლება მხოლოდ ისევე ასეთი თუ ისეთი **შთაბეჭდილება დატოვოს**, თვითონ კი იგუფებს ზმნებს: **აძლევის, იცვლის, აქვს**. ამდენად, დამოწმებულ წინადადებაში უმართებულო სინტაგმა ასე უნდა გასწორდეს: „ქირურგი, მართლაც, შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს“.

თანამედროვე ქართული (და არა მარტო ქართული) პრესის ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, შეინიშნება ტენდენცია სიტყვათა გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით ხმარებისა. სიტყვის მეტაფორული მნიშვნელობით ხმარება ფრაზას მოქნილსა და გამომხატველს ხდის, ამდიდრებს ენას, მაგრამ ამ დროს დიდი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რომ მან გაამართლოს თავისი დანიშნულება და თავიდან იქნეს აცილებული საწინააღმდეგო შედეგი. ზოგჯერ რომელიმე სიტყვის ამგვარი (მეორეული, შემდეგ შეძენილი) შინაარსით ხშირი გამოყენება იწვევს ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის შესუსტებას. ამას კი შედეგად მოპყვება სიტყვის უადგილოდ ხმარება, მისი დაკავშირება სრულიად შეუფერებელ სხვა სიტყვასთან.

47. ამგვარი გზა გაიარა დღევანდელი პრესის ენაში საკმაოდ

პროდუქტიულმა ზმნამ ანაღდებს — გაანაღდებს და მისგან ნაწარ-
მოებმა მასდარმა განაღდება.

ანაღდებს ნასახელარი ზმნაა. ნაღდი ნიშნავს ისეთ ფულს, რო-
მელიც ნამდილად აქვთ, ხელზე აქვთ. ამიტომ განაღდების ძირითა-
დი მნიშვნელობაა ნაღდ ფულად ქცევა, ანაზღაურება (ვალის, ფა-
სიანი ქალაღდის), გაყიდვა, გასაღება.

თანამედროვე ქართულში (კერძოდ, საქმიანი ქალაღდების ენაში
და აქედან პრესაში) ვხვდებით კიდევ ამ სიტყვის წესისამებრ ხმარე-
ბის შემთხვევებს. მაგრამ ამ ბოლო დროს ზმნამ განაღდებს გაი-
ფართოვა ხმარების არე და ძალიან ხშირად მოულოდნელ კონტექსტ-
შიც გამოიყენება — შეწყვილებულია მისთვის სრულიად შეუფერე-
ბელ სახელებთან. ამგვარ სინტაგმითაგან ზოგიერთი უკვე იმდენად
ჩვეულებრივი გახდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულია-
თვის, რომ შეიძლება გაჭირდეს კიდევ მდგომარეობის გამოსწორება,
მაგრამ ზოგი ამგვარი უმართებულო შესიტყვების თავიდან აცილე-
ბა, ალბათ, ჯერ კიდევ შეიძლება.

ანაღდებს — გაანაღდებს ზმნის მოხმარებისა და ამ რიგის ზოგი
სხვა საკითხის შესახებ არსებობს სპეციალური წერილი ბ. ფოჩხუ-
ასი¹⁰. ამიტომ ჩვენ აქ ამგვარ შესიტყვებათა უმართებულობის შე-
სახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ და მხოლოდ მასალის ჩვენე-
ბით დაგვამაყოფილებით.

პრესის ენაში გვხვდება განაღდება გეგმისა, ვალდებულებისა,
დავალებისა, მიყიდვის საქმისა, პირობისა, ნდობისა და პატივისა,
პროგრამისა, დღიური ნორმისა, ხუთწლედისა, ამოცანებისა, უმრავ-
ლესობისა, წინასწარდასახულობისა, მიზანდასახულობისა, მედლისა,
პირველი (მეორე, მესამე...) ადგილისა, ჩემპიონობისა, ფინალისტო-
ბისა, ზრახვებისა... მოვიყვანთ ნიმუშებს:

გაღაჭარბებით ანაღდებს გეგმებს („თბილ.“); პირნათლად გაანაღ-
დეს ტყის კულტურების გაწეებისა და გაზარების გეგმა („საქ. ბუნ.“); მან ჩის
ფოთლის კრეფის გეგმა 250 პროცენტით გაანაღდა („განთ.“ ვანი); ნა-
კისრი ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდა („გამარჯვ. დროშა.“);
სასახელოდ რომ გავანაღდოთ... ვალდებულებანი, საჭიროა... ავი-
მოქმედოთ არსებული რეზერვები („განთ.“ ვანი); ვიმედოვნებთ, რომ შემცენა-
რკობის დანარჩენი დარგების მუშაყებიც... აღებულ ვალდებულებას პირ-
ნათლად გაანაღდებენ („კომ.“); მათი მავალითსამებრ რომ აქ ყველის ეშ-
რომა, კოლმეურნეობა ყურძნის მოსაღლიანობის არა თუ გეგმის, ვალდე-

¹⁰ კონტექსტი და მნიშვნელობა: ქართული სიტყვას კულტურის საკითხები,
წიგნი 1, 1972, თბ., გვ. 28—37.

ბუნებასაც კი გაანადღებდა („განთ.“ ვანი); მათი ტვი-ფულტერ-ების გაშენების, ვახარებისა და მოვლის გეგმავალღებუნებაში დიდი გადაჭარბებით გაანადღეს („საქ. ბუნ.“); მათი ორმაგად გაანადღეს ჩაის კრფის დავალებანი („განთ.“ ვანი); ... ახლა წარმატებით გაანადღეს ხუთწლედის მეორე წელიწადის დავალებებიც („თბილ.“); ... მშენებლებმა 1971 წლის ივნისში უკვე გაანადღეს წლიური დავალება („კომ.“); ზეკრავან სასახელოდ გაანადღეს ყურძნის, ბოსტნეულის... და მეცხოველეობის პროდუქტების... სახელმწიფოზე მიყიდვის საქმე („განთ.“ ვანი); ამ პირობას წარმატებით ანადღებენ ისინი („ლენ. გზით“); ახალგაზრდობა პირობას ანადღებს („ახ. კომ.“); არ დავზოგავ ენერჯიას, რათა საქმით გავანადღო ეს დიდი ნდობა და პატივი („განთ.“ ვანი); ხუთწლედის პროგრამა ექვსი თვით ადრე გაანადღონ („კიათ. მაღ.“); ძირითადად გაანადღა მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების დასახული პროგრამა („გამარჯვ. გზა“); შრომაში ტოლს არავის უღებენ მეტანიზატორები, ... რომლებიც დიდი ნორმებს ორმაგად ანადღებენ („ლენ. გზით“); დიდი ნორმის გადაჭარბებით გაანადღება ალფთვეის კრებას („თბილ.“); ხუთწლედის გაანადღებულობა (იქვე); ქაბხნის კოლექტივმა... ხუთწლედის ვადად და გადაჭარბებით გაანადღებისათვის... შეიმუშავა... კომპლექსური გეგმა („საქ. კომ.“); ვეცდებით... ჩვენი წელიწადი შევიტანოთ ბარტის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გაანადღებაში („კომ.“); სამართლიანობის პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაანადღოს სასურველი უმრავლესობა პარლამენტში (იქვე); მეცხრე ხუთწლედის წინასწარ დასახულობათა გაანადღების მიზნით... შეემუშაებულა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები („გამარჯვ. გზა“); მიზანდასახულობათა გაანადღებისათვის მებრძოლმა კოლექტივმა პირველი წარმატებანი ჯერ კიდევ გასულ წელს მოიპოვა („კიათ. მაღ.“); თავის ხანმოკლე სპორტულ ბიოგრაფიაში მეორე დიდი ოქროს მედალი გაანადღა („ლენო“); მარცხის მიუხედავად, ნევისპირელმა კალათბურთელებმა ვერცხლის მედალები გაანადღეს (იქვე); ... პერეგულოვმა კი ბრინჯაოს მედალი ვადაზე ადრე გაანადღა (იქვე); საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა... მოუგეს „სპარტაკს“ და პირველი ადგილი გაანადღეს („თბილ.“); ზუგდიდის „დინამო“ ვადაზე ადრე გაანადღა რესპუბლიკის ჩემპიონობა („სოფლ. ცხოვრ.“); ამით პიტის გუნდმა გაანადღა ფინალისტობა („ახ. კომ.“); აბილისელებმა ფოთის ქვეჯგუფში გამარჯვებით გაანადღეს ფინალის საგზური („ლენო“); გერმანელებმა ომი გააჩაღეს თავიანთი დიდმპყრობელური ზრახვების გასანადღებლად („საშე.“).

კარგი მოქართულე ამ შემთხვევებში განადღების ნაცულად იხმარდა უფრო სწორ და კონტექსტისათვის შესაფერის ფორმებს, როგორცაა: შესრულება, განხორციელება, გამართლება, უზარუნველყოფა, გადაჭრა, გადაწყვეტა, მიღება... და ეს მოუხერხებელი სინტაგმებიც ასეთ სახეს მიიღებდა:

შეასრულეს: გეგმა, ვალდებულება, დავალება, პირობა, დიუ-რი ნორმა...

განახორციელეს: პროგრამა, ზრახვები, მიზანდასახულობა, წინასწარდასახულობა...

გამართლეს: ნდობა და პატივი...

უზრუნველყვეს: მიყიდვის საქმე, (თავისთვის) უმრავლესობა, ჩემპიონობა, ფინალისტობა...

გადაჭრეს ან გადაწყვიტეს ამოცანა, მიიღეს შედეგი, დაიკავეს პირველი ადგილი და ა. შ.¹¹.

ამგვარი სწორი გამოთქმები დასტურდება კიდევ პრესის ენაში უმართებულო წინადადებათა გვერდით. ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმეს:

გადაწყვეტილი აქვს პირადი წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს („განთ.“ ვანი); ჩვენ მაინც შეეძლოთ ბოსტნეულის წარმოების გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება (იქვე); სოფელ მახათურის კოლმეურნეობაში გადაჭარბებით შეასრულეს შხრალად ხენის დავალება („თბილ.“); ისინი ყოველდღიურ დავალებებს 100, 120 პროცენტით ასრულებენ („განთ.“ ვანი).

48. თანამედროვე ქართული პრესის ენაში ასევე უმართებულოდ გაიფართოვა მოხმარების არე აწარმოებს (აწარმოებენ), მიიღეს (იღებენ) ზმნებმა.

წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს რაიმე საქმიანობის გაწევას, გაძღოლას, მოვლას, პატრონობას. მაგრამ პრესის ენაში ეს სიტყვა ყველაზე ხშირად იხმარება შედარებით ახლად შექმნილი მნიშვნელობით, ესაა დამზადება¹². დამზადება ან წარმოება სასოფლო-სამეურნეო, მესაქონლეობის და მისთ. პროდუქტებისა ჩვენი მკითხველისათვის დღეს ჩვეულებრივი სიტყვათმეხამეებია. მაგალითად:

მელორეები დიდ წარმატებას აღწევენ ხორცის წარმოების გადიდებაში („დღენ. ვანი“); უკვე რამდენიმე წელია, ველისციხის კოლმეურნეობა... რძის წარმოების მთლიანი დონით პირველობას არაუადრეს ვერჯაანის რაიონში („სოფელ. ცხოვრ.“); ისინი პირობას იძლევიან კვლავ და კვლავ ამრავლონ წარმატებები მარცვლეულის წარმოების საქმეში („განთ.“ ვანი); თამბაქოს წარმოებისა და გადამამუშავების... ცენტრალიზაციისა-

¹¹ განსაკუთრებით უხერხულია განადგება ზმნის დასახისათებლად ისეთი ზმნისართების ხმარება, როგორცაა: გადაჭარბებით, პირნათლად, ხანახლოდ, წარმატებით, ორმაგად და მისთ.

¹² ამის საკითრება გამოიწვია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მასშტაბურობამ, მეურნეობის პროდუქტების უდიდესი რაოდენობით დამზადებისა და მისახლეობისათვის მიწოდების აუცილებლობამ.

თვის დროულად მიგვაჩნია თამბაქოს აგარსულ-სამრეწველო ცენტრების შექმნა („საქ. კომ.“); ხუთწლედის ბოლოსათვის კვერცხის წარმოებას გავზრდით ორჯერ და კიდევ უფრო მეტად („სოფლ. ცხოვრ.“); საცემის დამამზადებლები უშუალოდ არიან დაკავშირებული მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე („ლეწ. ვაჭი“).

თუმცა ამ ტიპის ყველა შემთხვევის გამოართლება მაინც არ შეიძლება. ამჟამად შეუფერებელი სიტყვათშეხამებებია ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში:

ბოლო ჯიშის ეხენების წარმოება მათში მეორეხარისხოვან საქმედ არის გადაქცეული („სოფლ. ცხოვრ.“); რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობიდან 1968 წლიდან ამოღებულ იქნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წარმოება („საქ. კომ.“); ქართული ფუტკრის მასობრივ წარმოებას... მსოფლიო მნიშვნელობა აქვს („სოფლ. ცხოვრ.“); საქარაველოს მევენახეობის განვითარების ტემპს ნამყენი ვაჭის წარმოება განსაზღვრავს (იქვე).

მით უმეტეს არ ვარგა ამ ფუძისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებით შედგენილი შესიტყვებების ერთი დიდი წყება, სადაც კონკრეტულად ამა თუ იმ პროდუქტის დამზადებაზეა ლაპარაკი. ამ შემთხვევებში შემასქენლის ცუდად შერჩევის გამო დარღვეულია აზრობრივი კავშირი სინტაგმის წევრებს შორის და წინადადება ზუსტად ვეღარ გადმოსცემს ნაგულისხმევ აზრს. მაგალითები:

ეს თვეში აწარმოეს 3.133 ცენტნერი რძე („კომ.“)¹²; 1973 წელს ჩვენ უნდა ვაწარმოოთ 132 ათასი კილოგრამი რძე („ლეწ. დროშა“); 3000-ის ნაცვლად 4500 ცენტნერი ბოსტნეული ვაწარმოეთ („განთ.“ ვანი); 1965 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ერთ ჰექტარზე აწარმოეს საშუალოდ 69 ცენტნერი ბოსტნეული („საქ. კომ.“); ვაწარმოეთ 1809 ცენტნერი ყურძენი („ლეწ. ვაჭი“); მათ გადაწყვიტეს ვაცილებით მეტი ყურძენი აწარმოონ („სოფლ. ცხოვრ.“); წლიური გვემით 109 ათასი ცალი კვერცხი უნდა გვეწარმოებინა, ჩვენ კი დღემდე ვაწარმოეთ 113 ათას ცალზე მეტი („ლეწ. ვაჭი“); ფაბრიკის კოლექტივმა საიუბილეოდ ვალდებულება იქონია წილს... აწარმოოს 1.200.000 კვერცხი („სოფლ. ცხოვრ.“); ... მეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს აწარმოვა 384 ათასი ცალი ვაჭის სარგავი მასალა („ახ. ცხოვრ.“); საქართველოში ძირითადად ქარ-

¹² აწარმოებს ზმნა დრო-კილოთა 11 წლების ნამეო ძირითადის, როგორც მხოლოდობითი, ისე მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში ვ თანხმოვანს ჩაირთავს: ვაწარმოვე, აწარმოვე, აწარმოვა, ვაწარმოვეთ, აწარმოვეთ, აწარმოვეს. ესა ნორმა დღევანდელი სალიტერატურო ქართულისა (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1, 1970, გვ. 15—16). როგორც ვხედავთ, ეს ნორმა პრესის ენაში არაა დაცული — თითქმის ყველგან უფინო დორმები იზარება.

ტოფილს წალკის, ახალქალაქის, ახალციხისა და ზოგდანოვკის რაიონები აწარმოებენ („სოფლ. ცხოვრ.“); ...საბჭოთა მეურნეობამ 15.728 კვ. ხორცი აწარმოა („ახ. კომ.“); მეხბორე... გვემით გათვალისწინებული 40-ის ნაცვლად აწარმოებს 50 ცენტნერ ხორცს („ლენ. დროშა“); აღნიშნული დადგენილების საფუძველზე... ვოფელწლიურად უნდა ვაწარმოოთ 250 ტონა სოიო („კომ. განთ.“); ...რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობას უნდა ეწარმოებინათ 1279 ცენტნერი სოიო... (იქვე); თებერვალში ხორცკომბინატში აწარმოეს დადებითი უხარისხო ძეხვი („საქ. კომ.“); 1972 წელს „წინსვლაში“ წარმოებულ იქნა 471 ცენტნერი თამბაქო („კომ.“); რაიონში ყველაზე მეტ ჩაის ფოთოლს აწარმოებს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა („სოფლ. ცხოვრ.“); გადაწყვეტიტ ვაწარმოოთ 150 ცენტნერი ჩაი („განთ.“ ვანი); საშუალოდ ბექტარზე ვაწარმოეთ 35 ცენტნერი „მწვანე ოქრო“ (იქვე); აწარმოო მეტი თესლი—ეს ნიშნავს მიიღო დიდი შემოსავალი („სოფლ. ცხოვრ.“); ...საიდანაც 4.351 კილოგრამი მარცვალ აწარმოვა („განთ.“ ვანი); ჩვენი პირობა... მეტზე ხუთწლედის მეორე წელს ვაწარმოოთ 9 ათასი ცენტნერი მარცვლეული („ლენ. გზით“); სიმინდის უხვი მოსავალი აწარმოეს ვრ. თუთამილიშა, ელ. და ლ. ხურციბეგში... და სხვებმა („განთ.“ ვანი); სულ 1.857 ტონა ხორბალი და ქერი აწარმოა განყოფილებამ („ლენ. გზით“); უხვად აწარმოა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები („სოფლ. ცხოვრ.“); მშრომელებმა აწარმოეს იმაზე გაცილებით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ვიდრე გვემა ითვალისწინებდა („განთ.“ ვანი); აწარმოეს 611 ცენტნერი შატყლი („სოფლ. ცხოვრ.“); შესიმიხდეთა პირობა... უხვად აწარმოონ პროდუქტის საკუეები („განთ.“ ვანი); ჩვენს ქვეყანაში ყოველი პირობა იმისათვის, რომ მეტი ვაწარმოოთ პროდუქტი („კომ.“); მეურნეობის მუშებმა ასევე უხვად აწარმოეს... ხილი („სოფლ. ცხოვრ.“); კოლმეურნეობაში შეძლო ვასულ წელს აწარმოებინა... 39 ცენტნერი ხილი... („განთ.“ ვანი); ამჟამად საქართველოში ფანჯრის მინა არ აწარმოებ (საქ. სახ. მეურნ.“).

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში უმჯობესი იყო გვეხმარა სხვა ზმნები: ჩამოწველეს, მოიყვანეს, მოკრიფეს, მოიწიეს, დაამზადეს, აიღეს და ა. შ. ამით შესიტყვებაც გაიმართებოდა და წინადადებით ნაგულისხმევი აზრიც უფრო გამჭვირვალე ვახდებოდა.

49. ასეთივე ვითარებაა პრესის ენაში მიიღებს ზმნის ხმარებისას. მოვიყვანთ მაგალითებს:

აქ უშუალოდ თვითველ ფურზე 2.265 კვ. რძე მიიღეს („სოფლ. ცხოვრ.“); მათ რანგარში მიიღეს 69,7 ცენტნერი რძე (იქვე); ერთ ფურზე მიღებულია 1.582 კვ. რძე („განთ.“ ვანი); 180-ის ნაცვლად წლის მანძილზე 209 გოჭი მიიღეს და გამოზარდეს (იქვე); მან თვითველ ქუბზე მ დღეში 19 გოჭი მიიღო („სოფლ. ცხოვრ.“); მეორე გ. გოგუამე თვითველი სანაშენო ღორიდან 9-ის ნაცვლად მიიღებს 18 გოჭს („ლენ. დროშა“); გადაჭარბებით არის შესრულებული პროდუქტის სერათო სულალობის გაცემა... უფვე მიიღეს 145 ხბო („ლენ. გზით“); გვემით 102 ხბო უნდა მიეღოთ („სოფლ.

ცხოვრ.); უკვე 500-ზე მეტი ბატკანი ჰყავთ მიღებულნი (იქვე); შარ-
შან კობლეზმა მიიღეს ათასამდე ბატკანი (იქვე); მან 36-ის ნაცვლად
116,4 ცენტნერი ყურძენი მიიღო („განთ.“ ვანი); გვეგობი ჰექტარზე 15
ტონა კომბოსტო უნდა მიეღო („სოფლ. ცხოვრ.“); ... კოველ ჰექტარ-
ზე გვეგობის გადაშენებით 5 ტონა სადრეთ კომბოსტოს იღებენ (იქვე);
მან ახლად ათვისებული მიწების თვითველ ჰექტარზე საშუალოდ 15 ჰექტარი
მარცვალი მიიღო („საქ. კომ.“); მალე დაეიწყებოდა სიმინდის
შწებნე მასის მიღებას („ფენ. ზნით“); დედა-საქმობლომ ასპანდელი მშრო-
მელებისაგან მიიღო 8.699 ცენტნერი ხორცი, 19.222 ცენტნერი რძე, 671
ცენტნერი მატყლი, 9.810 ცენტნერი კურკოვანი და თესლოვანი ხილი, 3.120
ცენტნერი ბოსტნეული („საქ. კომ.“).

ზემოთ დასახელებული უმართებულოდ ნახმარი ყველა ზმნა
საჭიროა შეიცვალოს, რათა წინადადებები გაიმართოს შინაარსობ-
რივად და შესიტყვებებშიც სწორი აზრობრივი კავშირი დამყარდეს.
თანამედროვე პრესის ენაში, მართალია, უფრო იშვიათად, მაგრამ
ცხვლებით კიდევ ასეთი სწორი სიტყვათშეხამებების შემთხვევებს-
ნიშნულად:

ფერმაში 33.500 კილოგრამი რძე მოწვედეს („სოფლ. ცხოვრ.“); ერ-
თი თვის მანძილზე ჩამოეწველეთ 20 ტონამდე რძე („განთ.“ ვანი); შარ-
შან აქ თითოეულ ფურზე უნდა ჩამოეწველათ 1.200 კგ. რძე (იქვე);
თვითველი ძროხა წელიწადში სამი ათას ლიტრზე მეტ რძეს იწველის
 („სოფლ. ცხოვრ.“); დამზადებულია 9.599 ცენტნერი რძე („განთ.“ ვა-
ნი); ახალციხის რაიონში უნდა დაამზადონ 11.750 ტონა, დამზადებუ-
ლია 2.186 ტონა კარტოფილი („კომ.“); მოკრეფილი იქნა 923 ცენ-
ტნერი ყურძენი („განთ.“ ვანი); იქანე ბალღავამ მინდელი 0,5 ჰექტარი
ნაკვეთიდან 3.000 კგ. ყურძენი მოკრიფა (იქვე); გაპროცენებულ 0,3 ჰექ-
ტარი ჩაის ნაკვეთიდან... მოკრიფე 3.320 კილოგრამი ხარისხოვანი ფო-
თოლი (იქვე); მათ 60—65 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს (იქვე);
მებოსტნეებმა... 115 ტონა ხახვი მოიწიეს (იქვე); მან... 28 ცენტნერი მარ-
ცვალი მოიწია (იქვე)¹⁴.

VI. ამ ბოლო დროს ქართულ სალიტერატურო ენაში, განსა-
კუთრებით კი პრესის ენაში, ფებს იკიდებს ერთი მოვლენა; სახელ-
დობრ, ნაცვლად ქართულისათვის ბუნებრივი მარტივი ზმნისა, საგ-
ნის მოქმედებისა და მდგომარეობის გამოსახატავად ვრცელდება
ისეთი სახელურ-ზმნური წარმოება, სადაც ზმნა, ჩვეულებრივ, ში-

¹⁴ ყურადღება მიიქცია წინადადება, რომელშიც პარალელურადაა ნახმარი
როგორც სწორი, ისე უმართებულო შესიტყვებები:

აქაურ მეცხოველეებს წლის მანძილზე 1.610 ცენტნერი რძე უნდა ეწარ-
მოებიათ, ხოლო თითოეულ საფურაფე ძროხაზე 1.450 კილოგრამი რძე ჩა-
მოეწველათ... თერთმეტ თვეში 1.703 ცენტნერი რძე მიიღეს (იქვე)-

წარსისაგანაა დაცლილი და მხოლოდ დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს, ხოლო სემანტიკური ფუნქციის შესრულება მთლიანად ეკისრება მასდარს ან, იშვიათად, მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს. მაგალითად, ეწყობა: გამოცხოვა, თესვა, მკა, კრეფა... მიმდინარეობს: ამოწყვეტა, სასუქების შეტანა, შემობარვა, ტეხანემსვა... წარმოებს: გამოთიბვა, მყნობა, მარგვლა, დაბეტონება, რწყვა... ტარდება: რემონტი, გამოკვება, მეთვალყურეობა, გამოთონხა... ხდება: გაწმენდა-გასუფთავება, წესრიგში მოყვანა, შემოწმება, გაცნობა, ფარცხვა, დაცლა... ხორციელდება: მოვლა, დადგმა, შეკეთება, შენახვა და სხვა მრავალი.

დასახელებულ შემთხვევებში, როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, ერთსიტყვიანი, ბუნებრივი ზმნის ნაცვლად გამოყენებულია აღწერითი წარმოება: ზმნა+მასდარი (ან, იშვიათად, მნიშვნელობით მასდართან ახლოს მდგომი სახელი), რომელიც პირველის სემანტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს; სახელდობრ, ეწყობა გამოცხოვა ნიშნავს, რომ აცხოვებს; ასევე, მოეწყო თესვა — ე. ი. დათესეს, მოეწყო კრეფა — მოკრიფეს, წარმოებს რწყვა — რწყავენ, ტარდება რემონტი — არემონტებენ, ხდება გაწმენდა-გასუფთავება — წმენდენ და ასუფთავებენ, ხდება შემოწმება — ამოწმებენ, ხორციელდება მოვლა — უვლიან, ხორციელდება შენახვა — ინახავენ და ა. შ.

ყველა შემთხვევაში ასეთ აღწერითს გამოთქმებში სემანტიკური ძალის მატარებელია სახელზმნა, რომელიც ზმნას ემსახურება, როგორც დამატება, ხოლო ზმნა, უმრავლეს შემთხვევაში, მთლიანად დაცლილია მნიშვნელობისაგან და ისევე, როგორც შედგენილ შემასმენელში, გამოხატავს მხოლოდ ზმნურ კატეგორიებს, კერძოდ, პირს, რიცხვს, დროს, კილოს, საუღვლეებელ ერთეულს (ნაკვთს)...

ამიტომ ერთსა და იმავე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელ მასდართან დასახელებულ ზმნათა შენაცვლება არ გამოიწვევს შინაარსის ცვლას, მაშინ, როდესაც ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა მასდართან სულ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

შეადარე, მაგალითად, ერთი მხრივ:

ეწყობა	_____	} კრეფა = კრეფენ
წარმოებს	_____	
ტარდება	_____	
ხდება	_____	
ხორციელდება	_____	

ტარდება	—	თესვა = თესავენ
	—	მკა = მკიან
	—	რემონტი = არემონტებენ
	—	რწყვა = რწყავენ
	—	მოვლა = უვლიან

მაშასადამე, ამ რიგის აღწერითსა და ზმნურ წარმოებებს შორის სტრუქტურულის გარდა სხვა რამ შინაარსობრივი განსხვავება არ არსებობს და თავისუფლად შეიძლება თითქმის ყველა შემთხვევაში აღწერითის ზმნურით შეცვლა.

სახელურ-ზმნური წარმოებისას თანამედროვე ქართულში ზმნურ კომპონენტად გამოიყენება არა ერთი და ორი ზმნა, ზუსტად ყველას ჩამოთვლა გაჭირდება კიდევ, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მათგანი, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად იხმარება. ასეთებია: **ეწყობა, მიმდინარეობს, ტარდება, წარმოებს, ხდება, ხორციელდება** და მისთ. ყველა ამ ზმნას აქვს თავისი ძირითადი მნიშვნელობა, რომლითაც ხშირად არის კიდევ იგი წარმოდგენილი წინადადებაში, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში, როგორც დავინახეთ, მათ ეს მნიშვნელობა ან უმარტებულოდ აქვთ გაფართოებული, ანდა მთლიანად დაკარგული.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მაგალითებს:

1. **ეწყობა — აწყობს**

ამ ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: მოგვარება, მოწყობა, ჩატარება, დაარსება||შექმნა, მორთვა, გამართვა... ამ მნიშვნელობებით იგი ხშირად გამოყენებულიც არის წინადადებაში: **საქმის მოწყობა, ექსკურსიის მოწყობა, სადამოს მოწყობა, აჯანყების მოწყობა, ოჯახის მოწყობა, ბინის მოწყობა, სცენის მოწყობა.** დასახელებულ შემთხვევებში ეს ზმნა სახელთანაა დაკავშირებული და ყველგან იგი გადმოსცემს მოქმედების შინაარსს. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში კი, სადაც იგი საწყისთან არის შეწყვილებული, სხვა ვითარებაა. მაგალითები:

არ ვაწყობთ პირუტყვის ინტენსიურ სუქებას („**ხაბტრ.**“); ბრიგადირებმა... სანიმუშოდ მოაწყვეს ღორების მოვლა-შენახვა („**სოფლცხოვრ.**“); ეწყობა... ქვევის... პურის გამოცხობა (**იქვე**); ...ეწყობა... ზეპირი გაზეთის გამოშვება, კინოსურათების ჩვენება, მხატვრული თეიმოქმედების გამოსვლები (**იქვე**); მოეწყო საჯარო გზის ბილიკების

მოფენა აგურის ფხვნილით („საქ. ბუნ.“); მათ გადაწყვეტეს... მოაწყონ პრაქტიკოს მუშაკთა მასობრივი დაუსწრებელი... სწავლა („სოფლ. ცხოვრ.“); ... პარტიამ კომკავშირს ამოცანად დაუსახა მოეწყოს მკვეთრი მობრუნება პირით წარმოებისაკენ (იქვე); სპეციალური განვითარება ეწყობა უმეტესად... რომელიმე განსაზღვრულ დარგში („სტ. და ცხოვ.“).

ყველა შემთხვევაში ზმნა მოწყობა ზედმეტია, მას აქ არავითარი სემანტიკური ფუნქცია არა აქვს. იგივე ფრაზები რომ ბუნებრივი ქართულით გაიმართოს, საჭიროა ამოვადგოთ ზმნა, ხოლო სახელზმნები შევცვალოთ იმავე ძირისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმებით. მაშინ გვექნებოდა: ინტენსიურად არ ვასუქებთ პირუტყვს; სანიმუშოდ მოუარეს და შეინახეს ღორები; ცხვება... კვავის... პური; უშვებენ ზეპირ გაზეთს, უჩვენებენ კინოსურათებს, გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები; სავალი გზის ბილიკები მოიფინა... ან მოფინეს აგურის ფხვნილით; გადაწყვიტეს, პრაქტიკოს მუშაკებს დაუსწრებლად მასობრივად ასწავლონ; პარტიამ კომკავშირს ამოცანად დაუსახა, მობრუნებულყო პირით წარმოებისაკენ; რომელიმე განსაზღვრულ დარგს სპეციალურად ავითარებენ (განავითარებენ).

2. წარმოებს — აწარმოებს

ამ ზმნების მნიშვნელობაა: რაიმე საქმიანობის გაწევა. ამ შინაარსის გამო, ბუნებრივია, ეს ზმნები წინადადებაში უკავშირდებოდნენ მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს. აწარმოებს მუშაობას, მოლაპარაკებას, გათხრებს, ბრძოლას, მიწერ-მოწერას და სხვ. მაგრამ მისი დაკავშირება განურჩევლად ამ რიგის ყველა სახელთან, რასაც ბოლო დროს ადგილი აქვს ჩვენი პრესის ენაში, სრულიად გაუძარტლებელია. მოვიყვანოთ სანიმუშო მაგალითები:

დაჯილდოებას აწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო („კოლმ.“); მეცხვარეობის მეურნეობებში ბრუცელოზისაგან გაჯანმრთელებას აწარმოებენ („სოფლ. ცხოვრ.“); საამქროს თანამშრომელი მოტოროლერით აწარმოებს კვარტალების შემოვლას, შეკვეთების გაფორმებას და შეკვეთვული ფხსაცმლის ადგილზე შიტანას („თბილ.“); უნდა წარმოებდეს თივის, ჩალის და ნაძვის ზვინების სადღეღამისო დაცვა („გამარჯ.“); კაბის დაკეცვა-გაშლით აწარმოებდა („ქობა. მაღ.“); სატრაქტორო ბრიგადა... ყოველწლიურად 100 ჰექტარზე აწარმოებს საპარცელე სიმინდის მოვლა-მოყვანას („სოფლ. ცხოვრ.“); ამ საწარმოს საამქროებში წარმოებს დეტალების ცენტრალიზებული რეცხვა (იქვე); საპარკეტე მასალისა და აფეთის დეტალების შრომას აწარმოებს („ბაბტრ.“);

მათ რეგულარულად უნდა აწარმოონ ჯგუფური შემოკლები მდინარეების შესამოწმებლად („ახ. ცხოვრ.“); ორასი მეტრის სიმალიდან წარმოებს მორების ჩამოშვება („ბახტრ.“).

აღნიშნული წინადადებები ასე უნდა გასწორდეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აჯილდოებს; მეცხვარეობის მეურნეობებში ბრუცელოზისაგან აჯანმრთელებენ; საამქროს თანამშრომელი მოტოროლერით შემოუვლის (ან უვლის) კვარტალებს, გააფორმებს შეკვეთებს და შეკეთებულ ფეხსაცმელს ადგილზე მიიტანს; უნდა დაიცვან თივის, ჩალისა და ნაშვის ზვინები დღისითა და ღამით; კიბეს არ კეცავდნენ და არ შლიდნენ; სატრაქტორო ბრიგადი ყოველწლიურად 100 ჰექტარზე უვლის და მასვე მოჰყავს სამარცვლე სიმინდი; ამ საწარმოს საამქროებში ცენტრალიზებულად რეცხავენ დეტალებს; შრომობენ საპარკეტე მისალისა და ავეჯის დეტალების დასამზადებლად; მათ მდინარეებს შესამოწმებლად რეგულარულად უნდა შემოუარონ; ორასი მეტრის სიმალიდან უშვებენ მორებს...

3. ტარდება — ატარებს

ამ ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: დააქვს, დაჰყავს, ეწყობა, აწყობს, მართავს... ატარებს იარაღს, მანქანას... ქუღს, ხელთათმანებს... კრებას, დეჰქვიას, ცდება, გაკვეთილს... დენს... ყველა ამ მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. გარდა ამგვარი შემთხვევებისა ტარდება — ატარებს ზმნები არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ზემოთ დახასიათებულ სახელურ-ზმნურ კონსტრუქციებში, სადაც იგი თავისი პირველადი მნიშვნელობისაგან დაცლილია. მაგალითები:

სისტემატურად ატარებენ გზების რეპონტს („საქ. ზუნ.“); ვახაფხულზე ბრიგადის ის ფარა გამოუძღვება წინ, რომელიც ორგანიზებულად ჩაატარებს დოღს, ბატენის მიღებაში ენარჩუნებას („სოფლ. ცხოვრ.“); კოლმეურნეობათა უმრავლესობაში... არ ჩაატარეს... რწყევა („გამარჯვდროშა“); მხენელ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ მაღალ აგროვადებში ჩაატარონ როგორც პირველი, ისე მეორე მარჯვლა, ნათესების გამოკვეება და ცვა („ახ. ცხოვრ.“); ქირურგმა... ავადმყოფს ჩაუტარა კიდურის დაკვიბვა („გამარჯვ. ვხა“); არ ტარდება საჭირო ოდენობით შოკლები („საქ. ზუნ.“); ვაწერიდან რ თვის განმავლობაში ტარდება ავადმყოფზე შეთვალყურეობა („გამარჯვ.“); 29 ჰექტარი ზღანტაციიდან აქ უკვე 32 ჰექტარზე ჩაატარებულია გადაბარება და სადრენაჟო არხების გასუფთავება („სოფლ. ცხოვრ.“); ტუის კულტურების მოვლა — ერთჯერადზე გადაყვანით ჩაატარებულია 196 ჰექტარზე („საქ. ზუნ.“).

ბუნებრივი ქართული ფრაზები იქნებოდა: სისტემატურად არე-
მონტებენ გზებს; გაზაფხულზე ბრიგადს ის ფარა გამოუძღვება წინ,
რომელიც ორგანიზებულად მიიღებს და შეინარჩუნებს ბატკანს;
კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ მორწყეს (მინდვრები, ვენა-
ხები...); მხენელ-მთესველებს გადაწყვეტილი აქვთ მაღალ აგრო-
ვადებში გამარგლონ ნათესები როგორც პირველად, ისე მეორედ,
გამოკვებონ ისინი და დაიცვან; ქირურგმა... ავადმყოფს დაუჭიმა კი-
დური; საკმარისად კარგად არ უვლიან; გაწერიდან 6 თვის განმავ-
ლობაში ავადმყოფი მეთვალყურეობის ქვეშაა; 29 პექტარი პლან-
ტაციიდან აქ უკვე 32 პექტარი გადაბარეს და გაასუფთავეს... არხე-
ბი; ტყის კულტურებს ერთჯერადზე გადაყვანით მოუარეს 196 პექ-
ტარზე...

4. ხდება — ახდენს

ეს ზმნები თავისი ძირითადი მნიშვნელობით დღეს არც თუ ისე
ხშირად გამოიყენება: მონაწილე ხდება, უბედურება ხდება, სასწაუ-
ლი ხდება, მისი წერა ხდება, ავად ხდება, ვერაფერს ხდება... აჯანყე-
ბას ახდენს, გავლენას ახდენს, განკარგულებას ახდენს, შთაბეჭდი-
ლებას ახდენს...

ამ ბოლო დროს დასახელებულმა ზმნებმა გაიფართოვეს რო-
გორც მნიშვნელობის, ისე მოხმარების არე და ხშირად ენაცვლებიან
ზმნებს: ტარდება, ეწყობა, ეწევა, შვრება... ამასთან, უკანასკნელთა
მსგავსად უმეტესწილად ისინიც დაკლილნი არიან მნიშვნელობისა-
გან და ზემოთ აღწერილ სახელურ-ზმნურ კონსტრუქციებში გამო-
იყენებიან ზმნურ კომპონენტად. მაგალითები:

ბევრმა კოლმეურნეობამ... დროულად მოახდინა არხებისა და ჰიდრო-
ტექნიკურ ნაგებობათა წესრიგში მოყვანა („ახ. ცხოვრ.“); მთ გათვა-
ლისწინებულ აგროვადებში მოახდინეს ვენახის ზერების(?) დამუშავება
(„გამარჯვ. დროშა“); თანამიმდევრულად ეახდენთ შეჯიბრების... შედეგების
გაცნობას („ახ. ცხოვრ.“); ბრიგადის წევრებმა მთლიანად გადაბარეს ჩაის
პლანტაციები და პარალელურად მოახდინეს მინერალური სასუქების შე-
ტანა („სოფლ. ცხოვრ.“); ფურების სულალობის შემცირების შიშით ვერ ეახ-
დენდით წუნდებებს (იქვე); როცა მეცხარე გახდა 3-4 ფოთოლა, მოეახ-
დინეთ მისი ფარცხეი თესვის საწინააღმდეგოდ („გამარჯვ. დროშა“); ამის
შედეგად ყოველთვის დროულად ხდება ვაგონების დაცლა და საქონლის
ადგილზე მიზიდვა („სოფლ. ცხოვრ.“); დააეადება ხდება უმეტესად
გათენებისას, 5-6 საათზე („ახ. ცხოვრ.“).

აღნიშნული წინადადებები ასე უნდა გაიმართოს: ბევრმა კოლ-
მეურნეობამ... დროულად მოიყვანა წესრიგში არხები და ჰიდროტექ-

ნიკური ნაგებობანი; 'მათ' გათვალისწინებულ აგროკავადებში დაამუშავეს ვენახები; თანამიმდევრულად ვეცნობით შეჯიბრების შედეგებს; ბრიგადის წევრებმა მთლიანად გადაბარეს ჩაის პლანტაციები და პარალელურად შეიტანეს მინერალური სასუქები; ფურების სულადობის შემცირების შიშით ვერ ვიწუნებდით; როცა მცენარე გახდა 3-4 ფოთოლა, იგი დავფარცხეთ თესვის საწინააღმდეგოდ; ამის შედეგად ყოველთვის დროულად იცლება ვაგონები და საქონელიც ადგილზე დროულად მიაქვთ; ავადღებთან უმეტესად გათენებისას, 5-6 საათზე...

5. ხორციელდება — ახორციელებს

ამ ზმნების მნიშვნელობაა: სინამდვილედ ქცევა, შესრულება. **ახორციელებს მიზანს, გეგმას, ოცნებას, ნატვრას, პროგრამას** — ჩვეულებრივი გამოთქმებია, მაგრამ უფრო ხშირად ეს ზმნა გვხვდება შეუფერებელ კონტექსტში. დავადისტურებთ მაგალითებით:

საბჭოთა კავშირში პირველად განხორციელდა ათასობით სული სასუქი პირუტყვის დაუბმელი შენახვა („ხოფლ. ცხოვრ.“); სახელოსნოს კოლექტივი წელს პირველად განახორციელებს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანების შეკეთებას (იქვე); 'ისინი' ნერგებს გულდასმით ახარისხებენ და მის დარგვას მოფიქრებულად ახორციელებენ („საქ. ბუნ.“); მოკლე დროში განვახორციელოთ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება („ახ. ცხოვრ.“); მეურნეობა ტყის კულტურების ნარგავების მოვლას ყოველწლიურად 3,000 ჰექტარზე ახორციელებს („საქ. ბუნ.“); ხშირად ახორციელებენ ფართობების გატყვევებას სხვადასხვა ჯიშებისაგან (იქვე); დიდი დაქანების ფართობებზეც კი ახორციელებენ ძლიერი ინტენსივობის ჭრებს (იქვე).

აღნიშნული წინადადებები მარტივად შემდგენიარად გადმოიცემოდა: საბჭოთა კავშირში პირველად შეინახეს ათასობით სული სასუქი პირუტყვი დაუბმელად; სახელოსნოს კოლექტივი წელს პირველად შეაკეთებს ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანებს; 'ისინი' ნერგებს გულდასმით ახარისხებენ და... მის მოფიქრებულად რგავენ; მოკლე დროში ავიღოთ, აგრეთვე, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები; მეურნეობა ტყის კულტურების ნარგავებს ყოველწლიურად 3000 ჰექტარზე უვლის; ხშირად ატყვევებენ ფართობებს სხვადასხვა ჯიშებით; დიდი დაქანების ფართობებზეც კი ინტენსიურად ჭრიან (ტყეს).

6. მიმდინარეობს

ამ ზმნის პირველადი მნიშვნელობაა მიედინება, მიდის (მაგ., წყალი, მდინარე, გადატ. ცხოვრება, დრო). მაგრამ ამ მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა თანამედროვე ქართულში ძალიან იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ ჩვეულებრივია მისი გამოყენება შემდგომ შექმნილი მნიშვნელობებით: წარმოებს, ხდება, ადგილი აქვს, ტარდება (მოლაპარაკება მიმდინარეობს, არჩევნები მიმდინარეობს). მაგრამ ასეთ შემთხვევათა უმრავლესობაში მასაც დაკარგული აქვს სემანტიკური ფუნქცია და დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს.

მაგალითები:

აქ წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს სასათბურე მეურნეობის მოწყობა („სოფლ. ცხოვრ.“); წარმატებით მიმდინარეობს ტოტების აჭრა და დაფოთვლა (იქვე); პირუტყვის მოკლა-პატრონობა... კარგად მიმდინარეობს სოფელ უშაფათის... კოლმეურნეობაშიც (იქვე); ამჟამად მიმდინარეობს ორმოების ამოთხრა (იქვე); ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შემოსული ფოთლის ტექვა-ნემსვა („გამარჯვდროშა“); მდინარე ყვირილაში ქვირილის დაყრა მიმდინარეობს როგორც ადგილობრივ, ისე შემოსულ თევზთაგან („ახ. ცხოვრ.“).

ჯობდა მოყვანილი წინადადებები ასე გამართულიყო: აქ წარმატებით აწყობენ თამბაქოს სასათბურე მეურნეობას; წარმატებით აჭრიან და-ფოთლიან ტოტებს. სოფელ უშაფათის კოლმეურნეობაშიც კარგად უვლიან და პატრონობენ პირუტყვს; ამჟამად თხრიან ორმოებს; ახლა სწრაფი ტემპით 'შე'ტეხენ და ნემსავენ შემოსულ ფოთოლს; მდინარე ყვირილაში ქვირილს ყრიან როგორც ადგილობრივი, ისე შემოსული თევზები.

7. აქამდე განხილული ზმნები, როგორც ზევით უკვე ითქვა, შედარებით ხშირად იხმარება ამა თუ იმ მასდართან ერთად საგნის მოქმედების აღსანიშნავად. უკანასკნელ ხანს ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში ძალიან გამრავლდა ამ ტიპის წარმოება და გარდა ზემოთ დასახელებული ზმნებისა ამ ფუნქციას არა ერთი და ორი სხვა ზმნაც ასრულებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ამ ბოლო 7 წელში შემცირება განიცადა, აგრეთვე, მუხის, თელის, ნაძვის, ფიჭვის ფართობებმა და მარაგებმა („საქ. ბუნ.“); ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ ეწევიან ღვინის გადაჭარბებულ სმას („ჭიათ. მად.“); ზოგიერთმა მეურნეობამ დაუშვა რძის ნაწველის შემცირება („კომ.“); უხარისხო კერძების გაცემა-გაყიდვა დაუშვეს... მალაზიაში („გამარჯვდროშა“); ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ცალკეული რაიონების

მეცხოველეებს რომ არ დაეშვათ შეუწყნარებელი ჩამორჩენა (კომ.)¹⁾; რაიონის სამშენებლო... ორგანიზაციებმა... დაუშვეს 1969 წელს დასამთავრებელი... კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობათა გაჭიანურება (გამარჯვ.)²⁾; სისტემატური მოვლით მივაღწიეთ ნარგავების მთლიან გავახარებას და მათ შენარჩუნებას (საქ. ბუნ.)³⁾; მტკიცდება, რომ იმდროინდელ ტყის შიგაგარემოში ასეთი ხეები უფრო კარგ ზრდას ამჟღავნებდნენ, ვიდრე მათზე ხნიერი ხეები (იქვე); იმდროინდელი ტყის შიგაგარემო ლებარდეს სოჭნარს არ აძლევდა საშუალებას ისეთი ზრდა გამოეჩინა სიმაღლესა და სისხოზე, როგორცაე შოვის სოჭნარები ამჟღავნებენ (იქვე); დამარცხება მიიყენა ძლიერ მოჭადრაკეებს (კვათ. მად.)⁴⁾; წალკის რაიონში... გაიზარდა დანაშაულობათა და სამართალ-დარღვევათა შემთხვევები. ეს იმ დროს, როცა მთლიანად რესპუბლიკაში ადგილი აქვს კლებას (საქ. კომ.)⁵⁾; 1974 წელს... სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთა მხრივ გასაჩივრებას ადგილი არ აქონია (იქვე); მყვირალობის პერიოდში ხშირად აქვს ადგილი რქებით პირისპირ კიბილს (საქ. ბუნ.)⁶⁾; დადგენილია, რომ ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში ადგილი აქვს კულტურების დაღუპვას (იქვე).

აჯობებდა ასე: ამ ბოლო 7 წელში შემცირდა, აგრეთვე, მუხის, თელის, ნაძვის, ფიჭვის ფართობები და მარაგები; ზოგიერთი ქალები იქამდე მივიდნენ, რომ გადაჭარბებულად სვამენ ღვინოს; ზოგიერთმა მეურნეობამ შეამცირა რძის ნაწველი; უხარისხო კერები გასცეს და გაყიდეს... მაღაზიაში; ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ცალკეული რაიონების მეცხოველეები შეუწყნარებლად რომ არ ჩამორჩენილიყვნენ; რაიონის სამშენებლო... ორგანიზაციებმა გააჭიანურეს 1969 წელს დასამთავრებელი კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა; სისტემატური მოვლით მთლიანად გავახარეთ და შევინარჩუნეთ ნარგავები; მტკიცდება, რომ იმდროინდელ ტყის შიგაგარემოში ასეთი ხეები უფრო კარგად იზრდებოდა, ვიდრე მათზე ხნიერი ხეები; იმდროინდელი ტყის შიგაგარემო ლებარდეს სოჭნარს არ აძლევდა საშუალებას ისე გაზრდილიყო სიმაღლესა და სისხოში, როგორც შოვის სოჭნარები; დამარცხა ძლიერი მოჭადრაკეები; წალკის რაიონში... გაიზარდა დანაშაულობათა და სამართალ-დარღვევათა შემთხვევები. ეს იმ დროს, როცა ამ შემთხვევებმა მთლიანად რესპუბლიკაში იკლო; 1974 წელს... სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთაც არ გაუხსნიერებიათ; მყვირალობის პერიოდში ხშირად რქებით პირისპირ ეჭიდებიან; დადგენილია, რომ ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში იღუპება კულტურები.

ცხადია, რომ აღწერილი შესიტყვებანი, მიუხედავად იმისა, რომ მათში გადმოცემული აზრი გასაგებია და გრამატიკული დარღვევები

არა გვაქვს, მაინც ვერ ჩაითვლება სწორად სემანტიკური უხერხულობის გამო.

საერთოდ აღწერილი სახის წარმოება — მასდარის დაკავშირება მთლიანად თუ ნაწილობრივ მნიშვნელობისგან დაცლილ ზმნასთან — ენისათვის არ არის უჩვეულო. ბევრ შემთხვევაში ის აუცილებელიცაა, როდესაც მაგალითად, ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ დროსა და კილოს ფორმას ვერ აწარმოებს, ხოლო მის მოვალეობას ადვილად ასრულებს მისი შემცვლელი ლექსიკური ეკვივალენტი — სახელურ-ზმნური შესიტყვება.

ზოგჯერ სახელურ-ზმნური გამონათქვამი გამოავლენს მეტად თუ ნაკლებად თავისებურ, განსხვავებულ, ახალ აზრობრივ ნიუანსსა და სტილისტიკურ შეფერილობას, რომელიც შეაქვს მის სემანტიკაში სწორედ მასში შემავალ ზმნას თავისი ახალი ლექსიკური შინაარსით. ამ დროს სწორედ ამ უკანასკნელებს ეძლევა უპირატესობა და მათი შეცვლა ზმნური შემასმენლით აზრის მხოლოდ გაღარიბებასა და გაბუნდოვანებას გამოიწვევს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ რიგის წარმოების ყველა შემთხვევის გამართლება შეუძლებელია. ეს, ალბათ, ზემოთ დამოწმებული საილუსტრაციო მასალიდანაც თვალნათლივ ჩანდა.